# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ხუთშაბათი, 14 მაისი, 2015 წელი.

№87 (7732)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


# რატომ და რით იწვევს აზრთა სხვადასხვაობას „პანორამა თბილისი“?

„სწორედ რომ ჩემნაირმა „ახირებულმა“ კაცმა შეიძლება გააკეთოს ეს პროექტი“







ერეკლეს მოედანზე ყველაფერი ნორმალურადაა, რადგან, პრაქტიკულად, ისტორიულ გარემოში არაფერი იცვლება და რა შენობაც იყო, იმავე პარამეტრით რჩება, ოღონდ მოხდება მისი ფიზიკური გაჯანმრთელება. რაც შეეხება მოედანს, სადაც ცეკავშირის შენობა იყო, ადგილმდებარეობის თვალსაზრისით, ის გიგა ბათიაშვილისთვის მისაღებია, მაგრამ არქიტექტურა ყოვლად მიუღებელი, სრულიად უცხო და საშინელი დისონანსის შემომტანია, რაც გადასაპროექტებელია.

წავკისის ქედთან დაკავშირებით კი არქიტექტორი ამბობს, რომ ეს ყველანაირად გამართლებული გადაწყვეტილებაა, რადგან იარუსების რაოდენობით მიმართულია ლეღვთახევისკენ, საუკეთესო ხედებია ამ ბუნებაში და ქალაქისკენ იყურება სულ სამიარუსიანი, საფეხურებად განლაგებული მწვანეში ჩასმული სამი ტერასა, რომელიც ნორმალურად არის შექმნილი.

იხ. 3 გვ.

European Bank for Reconstruction and Development

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების ევროპული ბურჯი

6



ნაპოლეონ ქარქაშაძე – 80

## ღირსეული მამულიშვილი, მეცნიერი, მოქალაქე

5

## ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვა პრობლემად რჩება

4



## ქართული ბაზრის საშიში მტერი

როგორ დავამარცხოთ დემპინგური ფასები?

2



## ინვესტიციებს სტატისტიკოსები ითვლიდნენ, ფული – ნაციონალები!

7



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

## ალიან-ჩალიანი

# ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის ბუნდესტაგის წარმომადგენლებს შეხვდა

**შეხვედრაზე** განიხილეს შემდეგი საკითხები: გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის ვიზიტი საქართველოში, რიგის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი და საქართველო-გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები.

მთავრობის მეთაურმა გერმანიის ბუნდესტაგის წევრებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ რიგის სამიტის წინ მათ ვიზიტს საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

„გერმანია არის ჩვენი მეგობარი, პარტნიორი ქვეყანა და ჩვენი ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობის განვითარებას. მიმაჩნია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს. მე ვიმყოფებოდი ოფიციალური ვიზიტით გერმანიაში, სადაც მქონდა ნაყოფიერი და წარმატებული შეხვედრები, კანცლერ მერკელთან, ბუნდესტაგის პრეზიდენტთან", — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრაზე.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, გერმანია საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულშია; 2014 წელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა და 535 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

შეხვედრისას ხაზი გაესვა საქართველოში რეფორმების განხორციელების პროცესში გერმანიის მხარდაჭერის მნიშვნელობას და აღინიშნა, რომ გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი რესურსი ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში 650-მდე მილიონ ევროს შეადგენს.

# კორძაიამ „ქართული ოცნება" დატოვა

**როგორც** კორძაიამ განაცხადა, საპარლამენტო საქმიანობის გაგრძელებას უმრავლესობის ფარგლებში აპირებს, იქნება უმრავლესობის დამოუკიდებელი წევრი.

ამასთან, კითხვაზე, რამდენად მოსალოდნელია, უმრავლესობის რომელიმე სხვა ფრაქციაში გაწევრიანდეს, კორძაიამ განაცხადა, რომ მომავალში ვერავერს ვერ გამორიცხავს.

„ვფიქრობ, კარგი იყო, როცა ფრაქცია „ქართულ ოცნებაში" ვიყავი, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემთვის უმჯობესია, არ ვიყო ფრაქციის წევრი. ჩემი ამ გადაწყვეტილების უკან არავითარი პოლიტიკური დაპირისპირება ან რაიმე მსგავსი არ დგას. მე ჩავთვალე, რომ ჩემი მომავლისათვის... ეს ჩემი პირადი გადაწყვეტილებაა, რომ არ ვიყო ფრაქცია „ქართულ ოცნებაში„. ამასთან, ვთვლი, რომ რაც იყო წარსულში, რაც ვითანამშრომლეთ, რაც მივიღეთ შედეგად, ასე თუ ისე, კარგია", — განუცხადა „ინტერპრესნიუსს" თამარ კორძაიამ.

თამარ კორძაიას განაცხადი ფრაქციის დატოვების შესახებ პარლამენტის შესახებ, პარლამენტის ბიუროს გუშინ წარედგინა.

* * *

**საპარლამენტო** ფრაქცია „რესპუბლიკელების" თავმჯდომარის, დავით ბერძენიშვილის განცხადებით, თამარ კორძაიას გადაწყვეტილებაში სკანდალური არაფერია.

როგორც ბერძენიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, კორძაიამ ფრაქცია „რესპუბლიკელებში„ გაწევრიანების სურვილი უკვე გამოთქვა და ამ საკითხზე უახლოეს პერიოდში იმსჯელებენ.

„თამარ კორძაია იყო უმრავლესობაში და რჩება უმრავლესობაში. საკუთარ პოლიტიკურ მომავალს ის უკავშირებს „რესპუბლიკურ" პარტიას. მან დაწერა განცხადება ფრაქციაში შემოსვლის სურვილით. ფრაქცია ამასთან დაკავშირებით შეიკრიბება და მიიღებს გადაწყვეტილებას. ეს არის ჩვეულებრივი პროცესი", — განაცხადა დავით ბერძენიშვილმა

# ტარიფების ზრდას არანაირი კანონიერი საფუძველი არა აქვს

**„ქართული დასის"** ლიდერი ჯონდი ბაღათურია ენერგეტიკის მინისტრს და მის გუნდს ტარიფების შესაძლო გაზრდის ლობირებაში ადანაშაულებს. ენერგეტიკის სამინისტროსთან ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის წარმომადგენლების მიერ გამართულ აქციას „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია შეუერთდა. იგი გუშინ სამინისტროს შენობასთან აქციაზე მივიდა და ტარიფების შესაძლო ზრდასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა.

ჯონდი ბაღათურიას თქმით, ტარიფების ზრდას არანაირი კანონიერი საფუძველი არ გააჩნია.

„კალაძე და მისი გუნდი მთლიანად, მისი მოადგილე მარიამ ვალიშვილი, „თბილგაზის" მოადგილე გიორგი ბენაშვილი ფინანსურად არიან დაინტერესებული ტარიფების ზრდაში, ამიტომ, სწორედ კალაძე და მისი გუნდი ლობირებს უკანონოდ და უსამართლოდ ელექტროენერგიაზე და გაზზე ტარიფების ზრდას. აქცია სამინისტროსთან არ მოიშლება, ვიდრე კალაძე არ გამოვა და ხალხს არ ეტყვის, რომ ხელი აიღო და მისივე ელექტროკომპანიები არ გაიტანენ მარეგულირებელი კომპანიიდან ტარიფების მომატებაზე განაცხადებს", — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

მისივე განცხადებით, შესაძლოა, მათ აქციები არა მარტო ენერგეტიკის სამინისტროსთან, არამედ კანცელარიასთან და ყველა იმ ადგილებში გამართონ, სადაც გადაადგილდებიან მთავრობის წევრები, რომლებიც „ფულს ხალხის ხარჯზე აკეთებენ".

## კანონმდებლობა

# ქართული ბაზრის საშიში მტერი

**დემპინგი** ნებისმიერი ქვეყნის ბაზრისთვის საშიში მტერია და გამონაკლისი ამ მხრივ, არც საქართველოა. . ამის მკაფიო ნიმუშად სპეციალისტები ხშირად ასახელებენ 1990-იან წლებს, როდესაც ჩვენს ბაზარზე თურქეთსა და ირანს საქონელი დემპინგურ ფასად შემოჰქონდათ, რის გამოც ქართველმა გლეხმა პროდუქციის მოყვანის სურვილი დაკარგა, ხოლო ჩვენმა აგრარულმა სექტორმა დიდად იზარალა. იმპორტიორებმა პროდუქცია დემპინგურ ფასად შემოიტანეს, ხოლო შემდეგ იმავე ფასად დაიწყეს გაყიდვა, რა ფასადაც ადგილობრივი მწარმოებელიც გაყიდდა. ამიტომ, ყველა სახელმწიფო ცდილობს, ებრძოლოს ამ უსიამოვნო მოვლენას.

„ანტიდემპინგური კანონის" შემოღების შესახებ ინფორმაცია მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გაავრცელა. მისი თქმით, კანონის შემოღების მიზანი ადგილობრივი წარმოების უსამართლო კონკურენციისგან დაცვაა და ის ყველასთვის მოსაწონი ვერ იქნება. პროექტი უკვე შევიდა პარლამენტში, სადაც „ანტიდემპინგური კანონი" უახლოეს ხანებში უნდა მიიღონ.

ჩვენ დავინტერესდით, რა ეტაპზეა ამჟამად „ანტიდემპინგური კანონმდებლობის" განხილვა და პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს დავუკავშირდით. bpn.ge კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **თემურ მაისურაძეს** ესაუბრა.



## როგორ დავამარცხოთ დემპინგური ფასები?

**— ბატონო თემურ, რამდენად საშიშია ეს მოვლენა საქართველოსთვის?**

— ზოგადად, ყველამ იცის, თუ რა არის დემპინგი: ეს არის ძალიან გავრცელებული და აკრძალული ხერხი, რომელსაც ძლიერი კომპანიები იყენებენ საშუალო და მცირე მწარმოებლების წინააღმდეგ, აძევებენ მათ ბაზრიდან და შემდეგ მონოპოლისტურ ფასებში გადაჰყავთ ეს პროდუქტი. ამიტომაც არის აუცილებელი „ანტიდემპინგური კანონის" მიღება, მით უმეტეს, რომ საქართველო ისედაც დაბალი ტექნოლოგიების ქვეყანაა, რის გამოც პროდუქციის წარმოება ჩვენ უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებს. ყველა ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ჩვენთვის ახლა ამ კანონის ამოქმედება უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანია. იმპორტული პროდუქტის ნაწილობრივი ჩანაცვლება რომ მოვახერხოთ, ამისთვის „ანტიდემპინგური კანონის" ამოქმედებაა საჭირო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კანონი ძალიან დაეხმარება ადგილობრივ წარმოებას. ეს იქნება კომპლექსური დოკუმენტი, რომელიც ქართულ ბაზარზე ბევრ რამეს მოაწესრიგებს. მართალია, ახლა დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ კანონის მთავარი მიზანი ფასების რეგულირება და დემპინგური ფასების არდაშვებაა საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან ეს გაანადგურებს ჩვენს ისედაც სუსტ ეკონომიკას. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ პროდუქცია არ გაიყიდოს თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, თუმცა, საკმაოდ რთულია, გაივლოს ზღვარი, თუ საიდან იწყება დემპინგური ფასები.

**— როდის ექნება საქართველოს „ანტიდემპინგური კანონი"?**

— როგორც ვიცი, კანონი უახლოეს პერიოდში უნდა მივიღოთ. საგაზაფხულო სესიების პერიოდში მისი განხილვა უნდა დასრულდეს, ყოველ შემთხვევაში, პარლამენტში ასეთი განწყობა გვაქვს, თუმცა, ძალიან რთულ პირობებში გვიწევს მუშაობა: ერთი მხრივ, ჩვენი საბაზრო პრობლემების გამო, მეორე მხრივ, აღებული გვაქვს ვალდებულება ევრორეგულაციებთან და მათ კანონებთან მიახლოებისა, ძალზე საყურადღებოა სპეციფიკა ქართული ეკონომიკისა, რომელიც ევროპულ კანონებს უნდა შეუხამდეს — ეს ყველაფერი ერთად არც ისე იოლი მისაღწევია, რადგან რთულია, სამივე მოთხოვნა დააკმაყოფილო და მიღებული ნორმებით ვილაც არ დააზარალო, ამიტომ, ყველა ნიუანსი ყურადღებით უნდა განვიხილოთ. ვფიქრობ, ჩვენ ისედაც ბევრი პრობლემა გვაქვს, პარლამენტი ძალიან დაძაბულ რეჟიმში მუშაობს, უამრავი საკითხია განსახილველი და დამატებით ახალი პრობლემები არ უნდა შევქმნათ. ყველას გვეჩქარება, ყველას გვინდა, რომ „ანტიდემპინგური კანონი" მალე გვქონდეს, მაგრამ ყველაფერს გაანალიზება სჭირდება. იმედია, ამ საპარლამენტო სეზონზე „ანტიდემპინგური კანონის" მიღებას შევძლებთ და ზაფხულიდან კანონი ამოქმედდება. მთავარია, კანონში ყველაფერი იყოს გათვლილი და გააზრებული, თორემ ხომ წარმოგიდგენიათ, რა რეაქცია მოჰყვება მის მიღებას ბიზნესმენების მხრიდან, თუ ყველაფერს არ გავითვალისწინებთ?

**—ალბათ იმპორტიორებს „ანტიდემპინგური კანონის" მიღება სულაც არ უნდათ...**

— იმპორტიორებს ეს ხელს არ აძლევთ იმიტომ, რომ მათ ყველგან მაღალი ტექნოლოგიებით დამზადებული პროდუქცია შეაქვთ და იოლად ახერხებენ პატარა ქვეყნებში დემპინგის მიღწევას. თანაც, მათ მიღმა ხშირად ძალიან მსხვილი და სერიოზული კომპანიები დგას. ისინი ჯერ კონკურენტებს იცილებენ და მერე საბაზრო ფასებს თვითონ ადგენენ. აქედან გამომდინარე, კანონის მიღებამდე დიდი ყურადღება და სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ.

**— აქ ჩნდება ერთი კითხვა — მიღების შემდეგ „ანტიდემპინგური კანონი" ქაღალდზე ხომ არ დარჩება?**

— ამ ტიპის კანონი ქაღალდზე ვერ დარჩება იმიტომ, რომ ყველა ადამიანი თავის თავს იცავს. ეს ის თემაა, რომელიც აუცილებლად იმუშავებს. ბიზნესი ყოველთვის ცდილობს, რისკებისაგან თავი დაიცვას, ამ კანონის დახმარებით კი, ის შეძლებს თავი დაიცვას არაკეთილსინდისიერი მოთამაშეებისგან, თუნდაც ამიტომ, ის ქაღალდზე ვერ დარჩება.

**— ვიცით, რომ ეკონომიკის სამინისტროში საგადასახადო ლიბერალიზაციის ახალ პაკეტზე მუშაობენ. თქვენთვის ცნობილ რომელ ცვლილებას გამოყოფდით ამ პაკეტიდან?**

— მართალია, ამ პაკეტის შესახებ მეც ის ვიცი, რაც ოფიციალურად გახმაურდა, მაგრამ აუცილებლად გამოვყოფდი ერთ ცვლილებას - ეს არის რეინვესტირების შემთხვევაში მოგების გადასახადის არგადახდა ან ძალიან შემცირება. ვფიქრობ, რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დიდ სტიმულს მისცემს ქართულ ბიზნესს. ეს არის შესაძლებლობა, შანსი კომპანიების ტექნოლოგიური განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. გვპირდებიან, რომ საგადასახადო ცვლილებების პაკეტი ფართო საზოგადოებისთვის ერთ თვეში გახდება ცნობილი და იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

# ევრაზიული კავშირის მომხრეთა რისხვი საქართველოში გაცილებით მეტი შეიძლება იყოს

**„დემოკრატიული მოძრაობის"** ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" დაკვეთით საქართველოში ჩატარებულ კვლევებში არც ერთი ციფრი რეალობას არ შეესაბამება.

როგორც ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ყველა ბოლო კვლევა, რომელიც აშშ-ის ორგანიზაციების დაკვეთით საქართველოში ტარდება, ქვეყანაში არსებული რეალობის მაჩვენებელი არ არის.

„რაც შეეხება NDI-ის მონაცემებს, იცით ჩემი დამოკიდებულება კვლევებთან მიმართებაში, მე კარგად ვიცი, რომ პრაქტიკულად არც ერთი ციფრი ამ კვლევაში რეალობას არ შეესაბამება და ზუსტად ვიცი, რომელი ციფრი რატომ არის დაწერილი. ყველა ბოლო კვლევა, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც აშშ-ის ორგანიზაციების დაკვეთით ტარდება, არის არა ქვეყანაში არსებული რეალობის მაჩვენებელი, არამედ არის იმის მაჩვენებელი, თუ რა სურათი უნდა აშშ-ს, რომ საქართველოში იყოს. ამერიკას, არ უნდა რომ 31% იყოს ე.წ. ევრაზიული კავშირის მომხრეებისა საქართველოში, თუმცა, ეს ციფრი გარწმუნებთ, რომ გაცილებით მეტი შეიძლება იყოს, თუ კვლევა უფრო ობიექტურად ჩატარდება. გარწმუნებთ, რომ კიდევ უფრო მაღალი იქნება", — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

„მე გეტყვით იმის მიზეზს, თუ რატომ დაფიქსირდა პირველად ეს მაღალი ციფრი იმ კვლევაში, რომელიც წესით აჩვენებს, თუ რა უნდა აშშ-ს. ეს არის აბსოლუტურად შეგნებულად დაწერილი ციფრი, რომ გარკვეული ალარმიზაცია მოხდეს საზოგადოებისა და საზოგადოების იმ ნაწილის დაშინება, ვისთვისაც ეს კურსი მიუღებელია. მას შემდეგ, რაც ობიექტური კვლევების შედეგად, რომელიც ამერიკელებს კულუარებში აქვთ, მათ დაინახეს, რომ ვერც ნაციონალური მოძრაობა, ვერც ალასანია თავისი „დემოკრატებით", ვერც „რესპუბლიკური პარტია", მათ შორის „ქართული ოცნებაც" ვერ იღებს არჩევნების შედეგად ხმების იმ რაოდენობას, რომ ვითარება აკონტროლოს და უმრავლესობა შექმნას და ქვეყანაში ამერიკული კურსი გაატაროს, მათ გადაწყვიტეს, რომ საფუძველი შექმნან იმისათვის, რომ ე.წ. პროდასავლური ძალები ყველაფრის მიუხედავად გაერთიანდნენ და ასე ვთქვათ, ალასანიას, ნაციონალური მოძრაობის და შესაძლოა, „რესპუბლიკური პარტიის" შესაძლო ალიანსი გაათეთრონ", — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

NDI-ის კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 31% ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეა.

# რატომ და რით იწვევს აზრთა სხვადასხვაობას „პანორამა თბილისი“?

## „სწორედ რომ ჩემნაირმა „ახირებულმა“ კაცმა შეიძლება გააკეთოს ეს პროექტი“

**„ქალაქიდან ადიხარ უტრანსპორტოდ და ხვდები უნიკალურ ბუნებაში, სწორედ ამ შენობიდან, 7-ვარსკვლავიანი სასტუმროდან ლიფტით ჩადიხარ ხევში. სულ 3 წუთი გინდა და ხვდები უნიკალურ, ველურ ბუნებაში. იქ უნიკალური ხევია. ამ პროექტის უნიკალურობა სწორედ ეს ხევია“...** — ასეთი იდუმალი და იდილიური სურათი დახატა „საზოგადოება 20/30“-ის დამფუძნებელმა **ბიძინა ივანიშვილმა** პროექტ **„პანორამა თბილისზე“** საუბრისას.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, სიტყვა „ახირება“, რომელიც ალექსანდრე ელისაშვილმა მის მიმართ ახსენა, შეურაცხმყოფელია. **„სწორედ რომ, ჩემნაირმა „ახირებულმა“ კაცმა შეიძლება გააკეთოს ეს პროექტი. მე ხელმეწიფება და საშუალება მაქვს, რომ ჩემს ქალაქს დავეხმარო. ღმერთმა დამიფაროს, ამ სასტუმროთი გამდიდრებას ვაპირებდე. 100 წელიწადი არ მინდა არანაირი სასტუმრო, ახალი თავის ტკივილი“,** — განაცხადა მან.

პროექტის რენტაბელობაზე საუბარი ყოფილ პრემიერს უჭირს. იგი თვლის, რომ ამ პროექტმა თავისი თავი შეიძლება ვერასდროს გამოისყიდოს, რადგან იქ ბევრი ექსკლუზივია — დახრილი ლიფტები, 2-სართულიანი სასტუმრო-აპარტამენტები, 25-მეტრიანი აკვარიუმი და სხვა.

მისივე თქმით, ამ პროექტის პირველი ღირსება სწორედ ეს ხევი გახლავთ, რაც ძველ თბილისს არ აზიანებს, არაფერში ხელს არ უშლის. მეტიც, **„ელისაშვილი და სხვები რომ გაჰკივიან, ისტორიული მნიშვნელობაო, რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, კითხვა არავის დაუსვამს. იქ ათწლეულების მანძილზე იყო სანაგვე, თუ ეს აქვს მხედველობაში ელისაშვილს“,**— აცხადებს ივანიშვილი და გადაჭრით ამბობს, რომ საზოგადოების ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად „პანორამა თბილისი“ მაინც განხორციელდება და ხევი, სადაც ამჟამად წელიწადში 10 ტურისტი თუ გაივლის, პროექტის განხორციელების შემდეგ თბილისის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი იქნება.

**For.ge დაინტერესდა, ბიძინა ივანიშვილის განმარტებისა და „პანორამა თბილისის“ შესახებ ვიდეორგოლის დამზადების შემდეგ შეიცვალა თუ არა ამ პროექტის მოწინააღმდეგეთა შეხედულებები.**

ხელოვნებათმცოდნე **გოგი ხოშტარია** „პანორამა თბილისთან“ დაკავშირებით ისევ ძველი პოზიციის ერთგული რჩება. For.ge-სთან საუბარში ის აცხადებს, რომ პრემიერის პოსტზეც რომ იყოს ბიძინა ივანიშვილი, ქალაქის ბედს ერთი კაცი არ უნდა წყვეტდეს. მით უმეტეს, გოგი ხოშტარიასთვის „პანორამა თბილისი“ არის კოშმარი, სიმახინჯე. ამის საწინააღმდეგოდ, თბილისის სილამაზე არის მთებსა და ხევებს მოყოლებულ განაშენიანების სინთეზში.

**„შენ თუ ის მთები ხელოვნურ, ჩაის პლანტაციების მაგვარ რელიეფად აქციე, ეს იქნება ჩვენი ქალაქის საბოლოო დამახინჯება. ვინ წყვეტს ამას? ნარმანიამ მე პირადად მითხრა, დიდი საბჭო იქნება და პირადად თქვენ გკითხავთ აზრს და თქვენნაირ ხალხსო. ვის ეკითხება? ეს არის უგემოვნების და ქაჯობის განსახიერება. ჯერ თვითონ იქ რომ დადგა სახლი, სოლოლაკის მთაზე, არ შეიძლებოდა ამხელა ქიმკომბინატის დადგმა, მაგრამ ეს ბიძინას ბრალი კი არ იყო, არამედ იმ ხუროთმოძღვრების და მერიის იმ ჩინოვნიკების, ვინც ეს დაუშვა, იმ ხელისუფლებამ მისცა ივანიშვილს ამის უფლება. „პანორამა თბილისს“ რაც შეეხება, იქ არაფრის განაშენიანება არ შეიძლება, მთას დაანებონ თავი. ბუნებაში რომ ერევი, ტერასებად რომ ჰყოფ, ვინ გყავს არქიტექტორად მოწვეული? ბიძინა არქიტექტორია? ბიძინა რატომ არის ავტორიტეტი ხუროთმოძღვრებაში? ზოგიერთ არქიტექტორს ბიძინამ რომ უბრძანოს, გადახტება მტკვარში. სასტუმრო და საბაგირო გზა, ეგ კიდევ სადავოა, მაგრამ რაღაც ტერასები რომ კეთდება, ეგ რაღაა? ჰგონიათ, 7-ვარსკვლავიან სასტუმროს თუ გააკეთებენ, ტურისტები ჩამოვლენ? აგერ, ასათვისებელია ბახტრიონი, თბილისის ზღვა, დიღომი, ასათვისებლის მეტი რა არის. შეიძლება, მარტო სოლოლაკი იყოს ცენტრი? რატომ არ არის ეს პროექტი გამოტანილი საჯარო განხილვაზე? მოსახლეობას რატომ არ ეკითხებიან არაფერს? ჯერ მიშა არ გვეყო? ხიდი მინდა, ბაგრატი გამიკეთეთო, მაშინ მიშა „კამანდირობდა“, ახლა — ბიძინა“,** — უპასუხო კითხვები მრავლად აქვს გოგი ხოშტარიას.

ამასთან, არ იზიარებს „მოქალაქის“ შეხედულებას, თითქოსდა, იმ ადგილებში სანაგვის მეტი არაფერი იყო. გოგი ხოშტარია მიიჩნევს, რომ ტერასები სადაც კეთდება, იქ არანაირი სანაგვე არ ყოფილა, უბრალოდ, იქ იყო მთა და ბუნება და, თუ რამის გაკეთება უნდათ, იქ დარგონ ხე და არა ჩაის პლანტაციების მაგვარი ტერასები.

„პარტიზანი მებაღე“ **ნატა ფერაძე** For.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ რაც უფრო აბსურდულ სარეკლამო რგოლს დადებენ, მით უფრო დაეხმარებიან პარტიზან მებაღეებს ბრძოლაში. ნატა ფერაძეს აინტერესებს, რას ნიშნავს ბიძინა ივანიშვილის მიერ ნახსენები „ხელთუქმნელი ბუნება“ და „უნიკალური ხევი“, თუკი ბუნება ააოხრეს და გააუბედურეს. მისი თქმით, მართალია, ეს პროექტი მეტროს აშენების შემდეგ სიდიდით მეორე ინვესტიციაა, მაგრამ ის კეთდება მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ახირებით, არანაირი საბჭო, კომისია, ქალაქგეგმარებითი პროფესიონალების კვლევა ამაზე არ დაუდიათ.

**„7-ვარსკვლავიანი სასტუმრო საერთოდ არ არსებობს და სასტუმროს ვარსკვლავიანობა ენიჭება მხოლოდ მას შემდეგ, რაც აშენდება და მომსახურება იქნება. მივესალმებით დიდ ინვესტირებას ქალაქში, თუმცა ევროპის თანამედროვე ქალაქდაგეგმარებით სისტემაში ინვესტიციებს ახორციელებენ ახალ უბნებში და არა ძველ უბნებში უხეში ჩარევით და მისი იერის მთლიანად შეცვლით. ჩვენი თბილისის ძირითადი ხიბლი არის ძველი უბანი, შემდეგ ამას ემატება ახალი უბნები - ვაკე, საბურთალო, დიღომი. ძველი ქალაქი თუ ავაოხრეთ, ეს ქალაქზე უარყოფითად იმოქმედებს. წესით, ჩემი და ბიძინა ივანიშვილის აზრი თანაბარი წონის უნდა იყოს, უბრალოდ, ბიძინას ბევრი ფული აქვს და ამიტომ გამოდის წინა პლანზე მისი აზრები“,** — აცხადებს ნატა ფერაძე და „პანორამა თბილისის“ კონტექსტში ხეების მოჭრას ერთ-ერთ ყველაზე ბოლო მტკივნეულ წერტილად განიხილავს. მისთვის მთავარი პრობლემაა ის, რაც ხდება თავისუფლების მოედანზე, კერძოდ, საბაგირომ არ უნდა გადაიაროს ქალაქზე და ბოლო უნდა იყოს ნარიყალა, ანუ ნარიყალა უნდა ასრულებდეს თბილისის ქედს.

მისივე ინფორმაციით, დედაქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით პლასიდო დომინგოს ფონდისთვისაც აპირებდნენ მათი სპეციალისტები ხმის მიწვდენას.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომრე რიმა ბერიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ 1 მილიარდი ლარის ღირებულების ეს პროექტი ბიუჯეტიდან არ ფინანსდება და პროექტის ფარგლებში ქალაქის ცენტრალური და ისტორიული უბნები საბაგირო გზებითა თუ დახრილი ლიფტებით ერთმანეთს დაუკავშირდება. რიმა ბერიძისთვის მთავარია, რომ აქ დასაქმდება 6 ათასი ადამიანი, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ— 2 ათასი ადამიანი, რომელთა სახელფასო ღირებულებაც იქნება 150 მილიონი ლარი. გარდა ამისა, დედაქალაქს დაემატება საგანმანათლებლო, ტურისტული, კვების ობიექტები, ათასკაციანი დარბაზი, მაღალი კლასის სასტუმრო, აკვარიუმი, პლანეტარიუმი, სპორტული დარბაზები, საცურაო ბასეინები.

**„აქ პრობლემა იყო, თითქოს იცვლებოდა რეკრეაციული ზონა. არადა, არანაირი რეკრეაციული ზონა არ იცვლება. აქ იყო ნაგავსაყრელი, სადაც სასტუმრო უნდა აშენდეს. 30 ათასი ხე დაირგვება. პროექტის ავტორებმა საბაგირო გზასთან დაკავშირებით გაითვალისწინეს რიგი საკითხები და ცვლილებების შეტანა კიდევ მიმდინარეობს. ისტორიულ უბანს ეს პროექტი არ აზიანებს. იაპონელი არქიტექტორები ამბობენ, რომ ეს პროექტი არის ისტორიულ გარემოში ინტეგრირების შესანიშნავი მაგალითი. უნდა გაკეთდეს ახალი შემოვლითი გზა, მიწისქვეშა ავტოსადგომებით. მთლიანობაში, ოთხ ეტაპად არის პარკინგები გათვალისწინებული“,** — აცხადებს რიმა ბერიძე და გოგი ხოშტარიას მიმართ პატივისცემის მიუხედავად, განმარტავს, რომ სხვა ხელოვნებათმცოდნეები, ცნობილი არქიტექტორები, თბილისის ქომაგები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ამ პროექტის განხორციელებას.

არქიტექტორი **გიგა ბათიაშვილი** For.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ პირადად იგი არ მონაწილეობს ამ პროექტში, მაგრამ მისი ინფორმაციით, „პანორამა თბილისი“ სამი ობიექტისგან შედგება — ერეკლეს მოედანთან არსებული ყოფილი ქარვასლის მშვენიერი შენობა, რომლის ადაპტირებაც და რეკონსტრუქციაც იგეგმება; ყოფილი ცეკავშირის შენობის ადგილზე დიდი ობიექტის მშენებლობა და წავკისის ქედზე მშენებლობა. სამივეს მიმართ არქიტექტორს განსხვავებული დამოკიდებულება აქვს. მისი თქმით, ერეკლეს მოედანზე ყველაფერი ნორმალურადაა, რადგან, პრაქტიკულად, ისტორიულ გარემოში არაფერი იცვლება და რა შენობაც იყო, იმავე პარამეტრით რჩება, ოღონდ მოხდება მისი ფიზიკური გაჯანმრთელება. რაც შეეხება მოედანს, სადაც ცეკავშირის შენობა იყო, ადგილმდებარეობის თვალსაზრისით, ის გიგა ბათიაშვილისთვის მისაღებია, მაგრამ არქიტექტურა ყოვლად მიუღებელი, სრულიად უცხო და საშინელი დისონანსის შემომტანია, რაც გადასაპროექტებელია.

წავკისის ქედთან დაკავშირებით კი არქიტექტორი ამბობს, რომ ეს ყველანაირად გამართლებული გადაწყვეტილებაა, რადგან იარუსების რაოდენობით მიმართულია ლელვთახევისკენ, საუკეთესო ხედებია ამ ბუნებაში და ქალაქისკენ იყურება სულ სამიარუსიანი, საფეხურებად განლაგებული მწვანეში ჩასმული სამი ტერასა, რომელიც ნორმალურად არის შექმნილი.

**„აქ არის საბაგირო გზის პრობლემა, რომლითაც ამ ტურისტული ზონის წავკისთან დაკავშირება უნდათ. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ალტერნატიული ვარიანტი არსებობს, საბაგირო გზა გვაქვს რიყიდან ნარიყალამდე. ასე რომ, ნარიყალას შეუერთონ წავკისის თავი, ბოტანიკური ბაღის თავზე გაიაროს საბაგირომ. გარდა ამისა, მესამე ობიექტთან დაკავშირებით გზის საკითხი გადასაწყვეტია. იქ უამრავი ნაკვეთია გაცემული და ინტენსიური მშენებლობაა დაგეგმილი. იქ არსებული გზა საკმარისი არ არის და ეს გადასაწყვეტია გენგეგმის დონეზე. ასე რომ, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. ისტორიული ზონით რომ აპელირებენ, საინტერესოა, რომელ ისტორიულ ზონაში ხდება ჩარევა?! ერეკლეს მოედანზე იმავე პარამეტრებში არ რჩება ყველაფერი?! გარდა ამისა, ნარიყალით მთავრდება თბილისი, ნარიყალას ვერ გადავაადგილებთ, არავითარი ხელოვნური ქედები, ზღაპრებს ნუ ყვებიან, უბრალოდ, წავკისის ქედი მოდის, ეს არის თრიალეთის ქედის დაბოლოების შტო, რომელიც თავდება თბილისში დაბახანასთან, სადაც დღეს ნარიყალაა განთავსებული. ძალიან კარგად იცოდა გორგასალმა, სად აშენებდა ციხე-სიმაგრეს“,** — აცხადებს გიგა ბათიაშვილი და განმარტავს, რომ ეს სულაც არ არის დახურული პროექტი, უბრალოდ, ეს არის მუშა პროექტი, რომელიც კონცეპტუალური გადაწყვეტის დონეზე რამდენჯერმე იყო გამოტანილი სამსჯავროზე.

**„მე ვერ დავინახე იქ ჩაის პლანტაციების მსგავსი რამ. ეს პროექტი თბილისისთვის მნიშვნელოვანია“.**

**მანანა ნოზაძე**



**რა ხდება პენიტენციურ სისტემაში?**



# ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვა პრობლემად რჩება

**ევროპის ქვეყნებში, ციხეში ის მოზარდი ხვდება, რომელიც ძალადობრივ დანაშაულს სჩადის. აი, საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კი თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვთ ბავშვებს ბანანის ქურდობისთვის, წვრილმანი ხულიგნობისთვის... ციხე, ზოგადად, უკიდურესი ზომა უნდა იყოს არასრულწლოვანისთვის, მაგრამ ასე არ არის. სანამ მართლმსაჯულებაში შეიცვლება რამე, მანამდე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ცდილობენ, ახალ კანონმდებლობაში, რომელზეც მუშაობა, სავარაუდოდ, ზაფხულის ბოლოს დამთავრდება, შეიტანონ მთელი რიგი ცვლილებები, რომელიც პენიტენციურ სისტემაში ბავშვთა უფლებების დაცვას შეეხება. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა — ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.**

ამ თემაზე მრგვალი მაგიდა გამართა ორგანიზაციამ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის", რომელიც ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს" მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: სახალხო დამცველის აპარატის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.

**„დღესდღეობით პენიტენციურ სისტემაში ბავშვის შესახებ არსებულ მონაცემებზე ხელი მიუწვდებათ იმ პირებსა და ორგანოებს, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. ამ მონაცემების არასწორი ფორმით გამოყენებამ ან გაუმართლებელმა გასაჯაროებამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის სტიგმატიზაცია, რაც პირდაპირი შემაფერხებელი ფაქტორია საზოგადოებაში ეფექტიანად ინტეგრაციისთვის.**

ამის გარდა, პერსონალური მონაცემები შეიძლება, გამოიყენონ როგორც არასრულწლოვანების პერიოდში, ასევე სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ: ზეწოლის, მუქარისა და შანტაჟის მიზნით, რაც საკმაოდ დიდი რისკის შემცველია ზოგადად სამართალდამცავ სისტემაში წლების განმავლობაში არსებული მანკიერი პრაქტიკისა და უკანონოდ მოპოვებული პირადი ინფორმაციის არაერთხელ გასაჯაროების გამო", — აცხადებს **ტატო ქელბაქიანი,** ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის" წარმომადგენელი. დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ კანონმდებლობის ხარვეზებთან ერთად პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების საკითხი. გადამზადებას გადიან საშუალო და დაბალი დონის საჯარო მოხელეები, მაგრამ ხელმძღვანელ პირებს ეს თითქმის არ ეხებათ. არასამთავრობოთა დაჟინებით, კანონში გაკეთდა ჩანაწერი, რომ არასრულწლოვანთა პენიტენციურ სისტემაში აუცილებელი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის პირის დანიშვნას, თუმცა, გარდამავალ დებულებაში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვით, მინისტრს შეუძლია დანიშნოს პირთა წრე, რომელსაც გადამზადება არ მოეთხოვებათ. ეს ჩანაწერი, ფაქტობრივად, აბათილებს კანონში არსებულ მოთხოვნას.

როგორც ცნობილია, მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის ცალკე დეპარტამენტი უნდა შეიქმნას, მაგრამ ამას სჭირდება მთელი რიგი დამცავი მექანიზმების ამუშავება, დასარეგულირებელია არსებული მონაცემების რეგისტრაციის, შენახვის, გაცვლის, გაცნობისა და განადგურების სპეციალური წესები.

**იმის მიუხედავად, რომ ცდილობენ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრის მიმართ გამოყენებული მეთოდები ევროპულ სტანდარტებს შეუსაბამონ, განსაკუთრებული ხარვეზები აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. ძირითადად მუშაობა ძველი, ლამის ჩეკისტური მეთოდებით ხდება. ვისაც მოესურვება, ყველას შეუძლია გაეცნოს არასრულწლოვანი პატიმრის პირად საქმეს, რომელსაც ვინ იცის, როდის და რა დროს, როგორ აუფრიალებს.** ამის არაერთი მაგალითი ყოფილა. წლების წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს სასჯელის მოხდის შემდეგაც სთხოვენ, რაც საზოგადოებისგან სტიგმატიზაციის ერთ-ერთი პირობაა. მრგვალ მაგიდაზე ასეთი ფაქტი გახმიანდა: არასრულწლოვანმა, რომელიც ციხეში კარგად არ იქცეოდა, არ იმსახურებდა ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის თუ ზედამხედველთა მოწონებას, სასჯელის მოხდის შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა. მისი პირადი საქმიდან გამომდინარე, ის კვლავ დაიბარეს შსს-ში, დაიწყო დაკითხვები, დაკვირვების ქვეშ მოხვდა და ა. შ. თუმცა, უკვე სრულწლოვანის ქცევები ადეკვატური იყო და რაიმე საშიშროებას საზოგადოებისთვის არ წარმოადგენდა.

**არასამთავრობოთა წარმომადგენლები ამბობენ, რომ პირის შესახებ დასკვნას და სტატუსის მინიჭებას უნდა ახორციელებდეს არა ერთი პიროვნება, არამედ მულტიდისციპლინარული ჯგუფი: ეს იქნება ზედამხედველი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და ა. შ. როგორც შეხვედრაზე ითქვა, სასჯელაღსრულების სამინისტროს მხრიდან მზაობა არის. ახლა მთავარია, კარგი კონცეფციის შექმნა და შემდეგ მისი პრაქტიკაში დანერგვა.**

**თეა მოსია**

**პოზიცია**

# რატომ არ ვიყენებთ უდიდეს რეზერვს?

**ხოკრიშვილი წარმომავლობით ქართული გვარი რომაა, წყალი არ გაუვა.**

**თუმცა ჩემი, ლამის საუკუნოვანი სიცოცხლის მანძილზე, ბატონი ნამინისტრალის მთავრობაში გამოჩენისას პირველად გავიგე ეს გვარი.**

ყოფილი მინისტრის ქართველობას თვითონ მისი აღნაგობა, იერსახეც ადასტურებს.

ახლა აღმოჩნდა, რომ ეს ქართველი კაცი გასამინისტრებლად უცხოეთიდან ჩამოუყვანიათ. ესეც მისი გადადგომის შემდეგ შევიტყვე.

არადა, ბატონ მინისტრს და მის ოჯახს სამშობლოში დასაბრუნებლად იდეალური შესაძლებლობა მიეცათ.

შეიძლება კი არა, საქართველოში დღეს ძალიან ბევრს უჭირს, ათასობით ადამიანი შიმშილობის ზღვარზეა.

მაგრამ მინისტრს, მის ოჯახს, თუ დაბრუნდებოდა, ნაღდად არ გაუჭირდებოდა. ის კი არა, ფუფუნებაშიც იცხოვრებდა.

რა თქმა უნდა, თუ მოისურვებდნენ. არადა, მილიონზე ბევრად მეტი უცხოეთში გადახვეწილი ქართველი შინ დაბრუნებაზე ოცნებობს.

ამ დროს, როგორც გაცხადდა, ბატონი ნამინისტრალი თანამდებობიდან იმიტომ გადადგა, თურმე, რომ ცოლ-შვილი უცხოეთში ჰყოლია.

ეგ მამაცხონებული, თუ უოჯახოდ ვერ ძლებდა, მისი ჩამოყვანა არ შეეძლო? ან, სანამ გამინისტრდებოდა, არ იცოდა თავისი თავისა? სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობაც ხომ არსებობს?

ისე კი, მისი კოლეგები თავს იკლავენ, იდეალური მინისტრი იყოო. თუ ასეთი კარგები იყვნენ, ისა და მისი კოლეგა, აწ უკვე ადრე გადამდგარნი, მაშინ ქვეყანას ასე რად გაუჭირდა, ასე რად წახდა ეკონომიკა, რად გაუფასურდა ლარი, რატომ მივდივართ უკან-უკან?..

ბატონ მინისტრ ხოკრიშვილს ერთ რამეში ბრალი რომ ედება, ეს ერთი, ფრიად პოპულარული გაზეთის ფურცლებიდანაც ვიცი.

საქმე ეხება სასმელი წყლის ბიზნესს. ცნობილია, რომ სუფთა სასმელ წყალზე მსოფლიოში დიდი მოთხოვნილებაა.

ისიც ფაქტია, რომ საქართველო ამ მხრივ უნიკალური ქვეყანაა. ღმერთმა გვიბოძა ეს ულევი სიმდიდრე, რომლის ექსპორტი თუ განხორციელდება, ქვეყანა ყოველწლიურად 9 მილიარდი დოლარის მოგებას მიიღებს. ადგილზე 100 ათასი ადამიანი დასაქმდება, თითოეული მათგანის ხელფასი, საშუალოდ 800 დოლარი იქნება. ბიზნესის დაფინანსებას 2 მილიარდ 200 მილიონი დოლარის ოდენობით, ვინმე ამერიკელი, ასევე ებრაელი მილიონები (ერთმანეთს ეჯიბრებიან) კისრულობენ.

ამ საქმეში მე და ჩემი მეგობრები ვართ ჩართული. ასე ვიცი.

აკადემიკოსი პაატა გიორგაძე უდგას სათავეში ამ საქმეს სხვა თვალსაჩინო მეცნიერებთან ერთად.

აკი ამ საქმეს მხარს უჭერდნენ ბატონი ბიძინა ივანიშვილი, სანამ პრემიერი იყო და ბატონი დავითი, სანამ მას ხოკრიშვილი შეცვლიდა.

ჰოდა, მოვიდა ბატონი ხოკრიშვილი და ყველაფერი ჩაიშალაო, გვარწმუნებენ ამ დიდი ეროვნული საქმის მოთავენი.

არადა, სასმელი წყლის ბიზნესი თუ აეწყო, ქუვეიტს, ნავთობით სასწაულებრივ მდიდარ ქვეყანას გავუსწრებთ და მერე როგორ!

იმედია, ბატონი ხოკრიშვილის შემცვლელი გიგლა აგულაშვილი, წინამორბედისგან განსხვავებით, ქვეყნის ინტერესებს დაიცავს.

ისე ხოკრიშვილის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, გაუმარჯოს... თავის უცხოეთში.

**გივი ჯახუა**

**ალიან-ჩალიანი**

## მონაწილეობა მიიღოთ C ჰეპატიტის კვლევებში

**ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მოსახლეობას მოუწოდებს, მონაწილეობა მიიღონ კვლევაში, რომელიც C ჰეპატიტის რაოდენობრივ-თვისობრივი პარამეტრების დასადგენად მიმდინარეობს.**

**როგორც ჯანდაცვის მინისტრმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, C ჰეპატიტის მკურნალობის ელიმინაციის პროექტი მას შემდეგ დაიწყება, რაც აღნიშნული კვლევა დამთავრდება, რომელიც ზუსტ ინფორმაციას მისცემს სამინისტროს ავადობის რაოდენობრივ-თვისობრივი პარამეტრების შესახებ. კვლევა 11 მაისს დაიწყო და თბილისში 19 მაისამდე გაგრძელდება. ამის შემდეგ კი კვლევის ჩატარება მოხდება რეგიონებში, რომელიც აგვისტოს შუა რიცხვებში დასრულდება.**

**„ძირითადი ელიმინაციის გეგმა დამოკიდებული იქნება ამ კვლევის შედეგებზე, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა და მოტივაცია, რომ ამ კვლევაში მიიღონ მონაწილეობა. ამ ეტაპზე კვლევის დედააზრი არის ასეთი, რომ 20 ჯგუფი, ინტერვიუერები დადიან თბილისის სხვადასხვა რაიონში, მოსახლოებასთან შეხვედრებს ატარებენ. სამწუხაროდ, გამოიკვეთა სურათი, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მათ ინფორმაციას არ აწვდის. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერავის დავავალდებულებთ, რომ მიიღონ მონაწილეობა ამ კვლევაში, მაგრამ ჩემი სათხოვარი იქნება, რომ კვლევაში ჩაერთონ, რადგან მასში მონაწილეობა პრინციპულად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ელიმინაციის პროექტი დაიწყოს", — აღნიშნა სერგეენკომ.**

## თავდაცვის მინისტრი სპეციალური ოპერაციების ძალებს ეწვია

**სამხედრო ბაზაზე თავდაცვის უწყების ხელმძღვანელს გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და სპეციალური ოპერაციების ძალების ხელმძღვანელი ვიცე-პოლკოვნიკი დიმიტრი კიკნაძე დახვდა. ქვედანაყოფის მეთაურმა თავდაცვის მინისტრს გამოფენილი სამხედრო აღჭურვილობა დაათვალიერებინა და სპეციალური ოპერაციების ძალების შესახებ საინფორმაციო ბრიფინგი წარუდგინა.**



**უწყების ხელმძღვანელი სამხედრო მოსამსახურეების სასწავლო და სამუშაო პირობებსაც გაეცნო. მან სასწავლო კლასები, საცხოვრებელი ოთახები დაათვალიერა და ჯარისკაცების კვების საკითხითაც დაინტერესდა. თინათინ ხიდაშელის განცხადებით, მისი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრიორიტეტი სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და აღჭურვის საკითხი იქნება.**

## მოუწესრიგებელი სანიაღვრეებით შეწუხებული ნუცუბიძელები

**ნუცუბიძის ფერდობის მცხოვრებლები დედაქალაქის მერიას კორპუსებთან სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებას სთხოვენ. ნუცუბიძის ფერდობის მეოთხე მიკრორაიონის 35 კორპუსთან წვიმიანი ამინდის დროს წყლის გუბეები დგას და სახლიდან გამოსვლა შეუძლებელია.**

**„როცა წვიმს, ჩვენს კორპუსთან სანიაღვრე წყლები გროვდება. ეს წყლები ჩადის საძირკველში და პრობლემას უქმნის კორპუსს. ჩვენ უკვე მივმართეთ მერიას, მიმართვა ვაკის გამგეობამ გადაუგზავნა კეთილმოწყობის სამსახურს, კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა ავთანდილ სუდაძემ უკან გადაუგზავნა ვაკის რაიონს, გამგეობამ — წყალკანალს. წყლის კომპანია მოვიდა, შეისწავლა ყველაფერი, თუმცა, არაფერი გაკეთებულა. იმის გარდა, რომ სანიაღვრე წყლებია, რაც მერიამ უნდა მოაგვაროს, თურმე ერთ-ერთი კოტეჯიდან ფეკალური მასები ჩამოდის, ღია კანალიზაცია ჰქონიათ. ეს ყველაფერი ჩვენს ეზოში ხვდება", — აცხადებენ ნუცუბიძის ფერდობის მცხოვრებლები.**

**მათივე ინფორმაციით, ეს პრობლემა წლებია, აწუხებთ.**

**ინტერპრესი**

# ღირსეული მამულიშვილი, მეცნიერი, მოქალაქე



დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრს **ნაპოლეონ ქარქაშაძეს**.

იგი ომისდროინდელი თაობაა. 1943 წელს შეაღო თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის კარები, მისი კლასელებიდან 19-მა მედალი აიღო, მათ შორის ნაპოლეონ ქარქაშაძეც იყო. შემდეგ საქართველოში იმ დროისათვის ერთ-ერთ ცნობილ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს მიაშურა, რომელიც 1959 წელს წარჩინებით დაამთავრა.

1961 წელს თავისი აღმზრდელის, პროფესორ ნიკოლოზ ლაჭყებიანის დაჟინებული თხოვნით, საქართველოსთვის გამოყოფილი ლიმიტით იგი სასწავლებლად გაემგზავრა მოსკოვის ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელსაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი ნიკოლაი ფედორენკო ხელმძღვანელობდა, მან თავად იკისრა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის ხელმძღვანელობაც.

მისი საკანდიდატო დისერტაციის აპრობაცია მოსკოვში მოხდა, ხოლო დისერტაციის დაცვა — „სასოფლოში“.

თვითონ ბატონი ნაპოლეონი თავის ცხოვრებაში გარდამტეხ მოვლენად მიიჩნევს 1956 წელს, როდესაც ქ. ლაიფციგში ჩატარდა მსოფლიო დემოკრატიული ქვეყნების სტუდენტების საერთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მან მოხსენება გააკეთა თემაზე: „საქართველო, კულტურული მიწათმოქმედების უძველესი ქვეყანა“. „დიპლომმა, რომელიც იქ მივიღე, განსაზღვრა ჩემი ცხოვრების მიმართულებაო“, — იგონებს იგი.

ბატონი ნაპოლეონის კარიერაში მნიშვნელოვანი მომენტი იყო „სასოფლოში“ მისი ეკონომიკის კათედრის გამგედ არჩევა; ოთხი წელი ხელმძღვანელობდა იგი კათედრას, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი საინსტიტუტო კათედრა გახდა. 1975 წელს დაინიშნა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად და ოჯახთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად ქ. სოხუმში. ახალგაზრდა კაცისათვის ეს იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი კარიერული წინსვლა. ამ დროისათვის რექტორობა დიდ თანამდებობად ითვლებოდა. ბატონმა ნაპოლეონმა 16 წელი გაატარა აფხაზეთში, მისი რექტორობის დროს აშენდა სასტუმროს ტიპის ოთხი საერთო საცხოვრებელი, ინსტიტუტის მეურნეობა — „ეშერაში“, ზღვის ნაპირზე სტუდენტური დასასვენებელი კომპლექსი, ექსპერიმენტალური ჩაის ფაბრიკა, რომელსაც ჰქონდა თანამედროვე საკონფერენციო და სადეგუსტაციო დარბაზები, კვლევითი ლაბორატორიები. მოხდა ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიების მთლიანი კვლავაღჭურვა, გაიხსნა რამდენიმე საპრობლემო ლაბორატორია, ამოქმედდა სადისერტაციო საბჭოები. ინსტიტუტში სწავლობდნენ ეგვიპტელი, ტუნისელი, კუბელი, ვიეტნამელი, ჩეხი ასპირანტები. მისი რექტორობის დროს, სუბტროპიკულმა ინსტიტუტმა სამჯერ დაიმსახურა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი გახდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრი. 1985 წელს ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე დააჯილდოვეს „საპატიო ნიშნის“, ხოლო 1995 წელს — „ღირსების“ ორდენებით, მანამდე, 1984 წელს იგი გახდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

რთული პერიოდი იყო მაშინ აფხაზეთში... ამ პერიოდში ნაპოლეონ ქარქაშაძე სათავეში ჩაუდგა ქართული საზოგადოების ბრძოლას ერთიანი ქართული სივრცის შესანარჩუნებლად. მისმა დიდმა ავტორიტეტმა ბევრი აფხაზი შემოაბრუნა ქართულ პოზიციაზე. ბატონმა ნაპოლეონმა ინსტიტუტში მომუშავე აფხაზებისა და სტუდენტებისაგან შექმნა ჯგუფები, რომლებიც დააკავშირა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს. ხდებოდა დელეგაციების გაცვლა, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა აფხაზეთში ქართველთა ეროვნული ერთიანობის საბჭო, ამავდროულად ხელმძღვანელობდა „რუსთაველის საზოგადოებას“.

1982 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომლის ძირითადი დებულებები მოისმინა სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, რომლის წევრკორესპონდენტადაც 1990 წლის სექტემბერში დაუსწრებლად აირჩიეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან რამდენიმე თვით ადრე. 1995 წელს იგი აირჩიეს რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 1996 წელს გადაიყვანეს ამავე აკადემიის უცხოელ წევრად.

1990 წლის ივლისში, ნაპოლეონ ქარქაშაძე საკონკურსო წესით აირჩიეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად; ამ თანამდებობაზე მან 14 წელიწადი იმუშავა, ეს იყო საქართველოს ისტორიის უმძიმესი პერიოდი, ცხადია, უჭირდა აგრარულ უნივერსიტეტსაც, რომელმაც სახელწოდება 1991 წელს შეიცვალა მისი ინიციატივით. მიუხედავად პრობლემებისა, ბატონმა ნაპოლეონმა შეინარჩუნა ინსტიტუტის კადრები, გახსნა ახალი სპეციალობები, დამყარდა კონტაქტები ევროპისა და ამერიკის უნუვერსიტეტებთან, აგრარული უნივერსიტეტი მიიღეს რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციაში, უნივერსიტეტის ბაზაზე ტარდებოდა საერთაშორისო სიმპოზიუმები, ბატონი ნაპოლეონი არჩეული იქნა საერთაშორისო ორგანიზაცია „იკარდას“ თანათავმჯდომარედ, უმაღლესი სკოლების მსოფლიო ასოციაციის (ქ. სან-ფრანცისკო) ევროპის სექციის პრეზიდიუმის წევრად, საზღვარგარეთის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად, პროფესორად, სან-ფრანცისკოსა და უმაღლესი სკოლების საერთაშორისო აკადემიების ნამდვილ წევრად და ა.შ.

ბატონი ნაპოლეონი არის 1990 წელს ნ. ხრუშჩოვის მიერ გაუქმებული სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აღდგენის ერთ-ერთი ინიციატორი. ქართველი მეცნიერების ცდა წარმატებით დაგვირგვინდა და საქართველოში აღდგა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რომლის პირველ შემადგენლობაში იგი არჩეული იქნა აკადემიისა და მისი პრეზიდიუმის წევრად. ხოლო 2004 წელს იგი ამავე აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს.

ნაპოლეონ ქარქაშაძე იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი, სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი, სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებისა და ქართული ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის სექციის წევრი და ა.შ. მისი ინიციატივით 1992 წელს დაარსდა საქართველოს უმაღლესი სკოლების რექტორთა საბჭო, რომლის პირველი პრეზიდენტიც თავად იყო.

ფართოა მისი სამეცნიერო კვლევის არეალი, იგი 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორისაა 5 მონოგრაფია და 7 სახელმძღვანელო. მისი სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულება მსოფლიო სოფლის მეურნეობაა, ამ პრობლემას მან ორი მონოგრაფია მიუძღვნა. მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს ბუნებათსარგებლობაში, მიწის რესურსებში, დარგობრივ ეკონომიკაში და ა.შ.

იგი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, ხშირად გვევლინება თანათავმჯდომარის როლშიც. მას გაზრდილი ჰყავს ასპირანტებისა და დოქტორანტების მთელი პლეადა, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ.

აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე, დღესაც აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა როგორც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პოპულარული სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი.

ცალკე განხილვის თემაა ნაპოლეონ ქარქაშაძის პუბლიცისტიკა და მწერლობა. მის კალამს ეკუთვნის არა ერთი პუბლიცისტური ხასიათის მწვავე სტატია, იგი ავტორია სამი პოლიტიკური რომანის — „სტალინი“, „ხრუშჩოვი“, „ბრეჟნევი“, ამათგან „სტალინი“ რამდენჯერმე გამოიცა მოსკოვში. 2013 წელს მკითხველმა მიიღო მისი სათავგადასავლო რომანი „აკადემიკოსი გისოსებს მიღმა“, რომელმაც მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ბატონი ნაპოლეონი არა მარტო კარგი ორგანიზატორია, არამედ სანიმუშო მეუღლე, მოსიყვარულე მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის და აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლები და სტუდენტები გულითადად ულოცავენ ბატონ ნაპოლეონს ამ ღირშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და დიდ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, როგორც სამეცნიერო, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;**

**1975-2004 წლების სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის და აგრარული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.**

# მისგან ვისწავლე, თუ როგორ უნდა ვემსახურო ქვეყანას

**აგრარულ უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი ვიყავი, თითქმის ყოველდღიური შეხვედრები მქონდა ბატონ ნაპოლეონთან. გვაოცებდა მისი უნარი, ნებისმიერ რთულ სიტუაციაში მოეძებნა ოპტიმალური, ყველაზე სწორი გადაწყვეტილება.**

მახსენდება 1990 წლის მისაღები გამოცდები. მისი რექტორად არჩევიდან სულ რამდენიმე კვირაა გასული, ქვეყანაში კი რთული, არეულ-დარეული და გაურკვეველი სიტუაციაა. ხელისუფლებაში ჯერ კიდევ კომუნისტები არიან! მაგრამ პროცესებს ზვიად გამსახურდია და მისი თანამოაზრეები „მართავდნენ“, პოლიტიკურად დამუხტულ საზოგადოებაში, ადამიანთა ამბიციები პიკს აღწევდა. მშობლებმა, რომელთა შვილებიც გამოცდებზე ჩაიჭრნენ, რექტორის მანქანის გადაბრუნება მოინდომეს. ატყდა ხმაური, გარეთ გასულებმა დავინახეთ, გაავებულ ადამიანებთან ერთად, თუ როგორ ცდილოდა თავისი მანქანის გადაბრუნებას რექტორი. „ბატონო ნაპოლეონ, რას აკეთებთ?!“ გაოცებულებმა შევძახეთ და მშობლებს შევუტიეთ. ახლაც მახსოვს ბატონი ნაპოლეონის სიტყვები:

„თუ თქვენს შვილებს ამ მანქანის გადაბრუნებით ცოდნა შეემატებათ, მეც — დაგეხმარებით, თუ გინდათ ქვებით ფანჯრებიც დავლეწოთ, ერთმანეთსაც დავერიოთ, რას შვრებით, ადამიანებო“! გაავებულები უცებ გაშეშდნენ, მერე თავდახრილები მიმოიფანტნენ.

მინდა, გავიხსენო კიდევ ერთი შემთხვევა: ჩაჭრილ აბიტურიენტთა მშობლებმა, რექტორის მისაღებში მწოლიარე გაფიცვა მოაწყვეს. რამდენიმემ მისი კაბინეტის კარის აჭედვაც მოინდომა, რექტორის მისაღებში აუტანელი ყაყანი და ანტისანიტარია იყო. მისაღებში შევყევით რექტორს, მან შეგვაჩერა, თვითონ მწოლიარე ადამიანებს „ფაქიზად“ გადააბიჯა და კაბინეტის კართან ჩაქუჩმომარჯვებულებთან შეჩერდა:

„ასე კარებს ვერ აჭედავთ?“ — თქვა და გაკვირვებულებს ლურსმნები, ჩაქუჩი და ფიცარი გამოართვა, „გულდასმით“ შეათვალიერა და „ამჭედებლებს“ ეუბნება: „ეს ფიცარი არ ვარგა, დამპალია! წადით, კარგად გამომშრალი ფიცარი მოიტანეთ და კარი ერთად ავჭედოთო“ — რამდენიმე წამში მისაღები დაცარიელდა.



მე, როგორც დეკანი, ყველა საუნივერსიტეტო საბჭოს წევრი ვიყავი და მახსოვს სხდომებზე კამათიც, აღელვებული ადამიანებიც, დაძაბული სიტუაციები. ასეთ ვითარებაში, მხოლოდ რექტორი ინარჩუნებდა სიმშვიდეს, იგი დროს შეარჩევდა და ისეთ რამეს იტყოდა, რომ სიტუაცია უმალვე განიმუხტებოდა, ეს ის ნიჭია, რომელიც ასე საჭიროა ხელმძღვანელისთვის...

მეამაყება მისი მეგობრობა, მის გვერდით ყოფნა, ვიცნობ მის ოჯახს, ახლობლებს. ბატონი ნაპოლეონი მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუაა. ამაყობს შვილთაშვილით ნინიათი, იგი ულალატო მეგობარია და უფრთხილდება ადამიანურ ურთიერთობებს.

ბატონი ნაპოლეონი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია, საყოველთაო აღიარება მოიპოვეს მისმა პოლიტიკურმა რომანებმა — „სტალინი“, „ხრუშჩოვი“, ბრეჟნევი“, ბიოგრაფიულმა რომანმა „აკადემიკოსი გისოსებს მიღმა“, მისი პუბლიცისტიკა, რომელიც ხშირად იბეჭდება პრესაში, გამოირჩევა არა მარტო შინაარსით, არამედ პრინციპულობითაც. მისგან შორსაა მაამებლობა და დაუმსახურებელი ქებადიდება, ყოველივე ეს მის პუბლიკაციებშიც იგრძნობა.

ამასთან დაკავშირებით ერთი პატარა ეპიზოდიც მინდა, გავიხსენო:

საგაზაფხულო სესიების დამთავრების შემდეგ, მის კაბინეტში შევედი:

— ბატონო რექტორო ... დავიწყე საუბარი. მან შემომხედა, ფურცლები მაგიდაზე დააწყო და დინჯად მითხრა:

— რეზო, ძვირფასო, ცუდ დროს შემოხვედი — მე გაკვირვებულმა შევხედე და მხრები ავიჩეჩე.

— მოდი აქ დაჯექი და მომისმინე: — ეს წუთია, ძლივს გამოვიჭირე ტროცკი, როგორც იქნა „ავაწყე“ სტალინისა და მისი დიალოგი, ამ დროს შემოდიხარ და რაღაც გაუგებრობებზე გინდა რომ მესაუბრო — მერე გამიღიმა და გააგრძელა — როცა ასეთ არაორდინალურ ადამიანებზე წერ, მიჭირს მათი ხასიათის გახსნა — შემდეგ ჩემს პირდაპირ გადმოჯდა და თავისი წიგნიდან სწორედ „ის“ მონაკვეთი წამიკითხა..

ასეთი იყო ის რექტორობის დროსაც, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტობის დროსაც და ასეთია დღესაც. ამიტომაცაა, რომ მის ირგვლივ ყოველთვის ხალხმრავლობაა, იგი თავად ქმნის იმ ატმოსფეროს, რომელიც ადამიანებს იზიდავს.

14 წელიწადი ვიმუშავეთ „აგრარულში“ და დღესაც მეამაყება ის პერიოდი, ის კოლექტივი, რომელიც ბატონმა ნაპოლეონმა დიდი რუდუნებით შექმნა. ბევრი რამ დამამახსოვრდა იმ პერიოდიდან, და რაც ყველაზე მთავარია, ვისწავლე თუ როგორ უნდა ვემსახუროთ ქვეყანას.

დღესაც სიამოვნებით ვიკრიბებით მასთან მისი კოლეგები, ბევრი ჩვენგანის წარმატება და სამეცნიერო საქმიანობაში წინსვლა მის სახელთანაა დაკავშირებული, ამიტომ თამამად ვაძლევ თავს იმის უფლებას, რომ განვაცხადო, აქ დაწერილი მარტო ჩემი ნაფიქრალი არაა. მადლობა უფალს, რომ ის მხნე და ჯანმრთელი დღესაც ჩვენს გვერდითაა...

**რევაზ ასათიანი,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი**

**დღეს თბილისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მმართველთა საბჭოს ორდღიანი ყოველწლიური, რიგით 24-ე სხდომა და საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმი ოფიციალურად იხსნება, თუმცა კი, მის ფარგლებში აქტიური მუშაობა როგორც უმაღლეს სამთავრობო დონეზე, ასევე ცალკეული მიმართულებით, 12 მაისიდან დაიწყო. მის ფარგლებში საქართველოს სამოცზე მეტი ქვეყნის სამთავრობო დელეგაცია, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო საქმიანი წრეების მრავალი წარმომადგენელი ეწვევა. ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ყოველწლიურ შეხვედრასა და ბიზნეს-ფორუმის მუშაობას მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებები გააშუქებენ, რაც საქართველოს ცნობადობის გაზრდის მხრივ, აგრეთვე ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია.**

საგანგებოდ ამ უმნიშვნელოვანესი თავყრილობისთვის საქართველოს პარლამენტის თბილისის შენობის ეზოში ოთხი დროებითი ნაგებობა აღიმართა, სადაც მედია-ცენტრი, ბრიფინგებისა და საკონფერენციო დარბაზები მოეწყო, რომლებიც უახლესი საკომუნიკაციო სისტემებით და საოფისე ინვენტარითაა აღჭურვილი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 1990 წელს, ცივი ომის დასრულების შემდეგ შეიქმნა და მისი მთავარი მიზანი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის წახალისება იყო. არსებობის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ეს უაღრესად სოლიდური საერთაშორისო ინსტიტუტი კერძო სამეწარმეო ინიციატივების ხელშეწყობის მეტად რთულ და საპასუხისმგებლო მისიას დიდი წარმატებით ასრულებს. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა მსოფლიოში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროცესებზე ბანკის სწრაფი, ეფექტიანი მოქმედების შედეგია. ევროპის ცენტრისა და აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყანაში საბანკო რეფორმის ჩატარების, ფასების ლიბერალიზაციისა და პრივატიზაციის პროცესის მთავარი ინიციატორი, სწორედ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკია. მასვე ეკუთვნის ეგრეთ წოდებული „საკუთრების უფლების“ დოკუმენტისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება.

ამ მძლავრი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის ევროპის მთელი რიგი ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანი მოღვაწეობა სესხებისა და გარანტიების გაცემით, სალიზინგო და სავაჭრო საქმიანობის ხელშეწყობით, აგრეთვე პროფესიული განათლების პროგრამების დაფინანსების გზით ხორციელდება. ბანკის მოღვაწეობის არეალი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების, ფაქტობრივად, მთელ სპექტრს მოიცავს — **საფინანსო ინსტიტუტებს, მრეწველობას, ენერგეტიკას, ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას, ტურიზმს, გარემოს დაცვასა და ბუნებრივ რესურსებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს და სხვ**. საიმისოდ, რომ სუბიექტმა ბანკის ფინანსური მხარდაჭერა მოიპოვოს, იგი გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, მოქმედებდეს მისი რჩეული ქვეყნის ფარგლებში; ჰქონდეს კარგი კომერციული პერსპექტივები; დააბანდოს სოლიდური სააქციო კაპიტალი ნაღდი ფულით ან უძრავი ქონების სახით; პროექტმა სარგებელი უნდა მოუტანოს ადგილობრივ ეკონომიკას და ხელი შეუწყოს კერძო სექტორის განვითარებას.

უნდა ითქვას, რომ ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის საინვესტიციო პორტფელში მთლიანი მოცულობის ლომის წილი, 49 პროცენტი, ენერგეტიკაზე მოდის. ამ მხრივ ჩვენთვის, უწინარესად, მნიშვნელოვანი ბანკის საქართველოში განსახორციელებელი პროექტებია. მათ შორის აღსანიშნავია 86,5 მილიონი დოლარის ღირებულების „შუახევჰესის“ და „დარიალჰესის“ პროექტები, რომელთა დაგეგმილი სიმძლავრეებია, შესაბამისად, 185 და 108 მეგავატი, ხოლო ღირებულება — 86,5 და 80 მილიონია. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ **ჩვენს ქვეყანაში EBRD 1992 წლიდან მოყოლებული მოღვაწეობს და ამ ხნის განმავლობაში მთლიანად 2,6 მილიარდი ევროს ოდენობით ინვესტიციები განახორციელა, რამაც 170-ზე მეტი პროექტი მოიცვა**. მარტო შარშან ბანკმა საქართველოში 214 მილიონი ევროს ოდენობით რამდენიმე პროექტი განახორციელა, რა თანხები, ენერგეტიკის სექტორის გარდა, მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაზე მიიმართა.

ამის გარდა, EBRD-ს თანადაფინანსებით აშენდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის განვითარების პროექტში კი მისმა წილმა 8 მილიონი ევრო შეადგინა.

საკუთრებაში დარჩება.

* * *

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტი სუმა ჩაკრაბარტი თბილისში 12 მაისს დღის პირველ ნახევარში ჩამოვიდა და, ფაქტობრივად, ამ დროიდან მოყოლებული თბილისური ფორუმის აქტიური ფაზაც დაიწყო. ბატონი სუმა ჩაკრობარტი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა, რომლის დროს მხარეებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს ინვესტორთა საბჭოს შექმნის შესახებ, რომელსაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს:

— ამის მიზანი საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგისთვის მყარი პლატფორმის შექმნაა, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით ბატონმა **სუმა ჩაკრაბარტიმ**.

ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტის **გიორგი ჭიჭინაძის** აზრით, ინვესტორთა საბჭოს შექმნა საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შესაძლებლობას მისცემს, უშუალოდ მთავრობის ხელმძღვანელთან გადაწყვიტონ ის საკითხები, რომელთა გადაჭრა გარკვეული სახელმწიფო უწყებების დონეზე ვერ ხერხდება.

კიდევ ერთი სიახლე ის გახლავთ, რომ **საქართველოში წარმატებულ ბიზნესებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ბევრ შემთხვევაში უშუალოდ, საშუამავლო ბანკების შუამავლობის გარეშე დააფინანსებს.** ამის შესახებ ბატონ სუმა ჩაკრაბარტისა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი. ამასთან, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ EBRD ეროვნული ბანკის მიერ გატარებულ პოლიტიკას მხარს უჭერს.

— ქვეყანაში საბანკო სისტემა გამართულია, კაპიტალიზაციის დონეც მაღალია, — აღნიშნა ბატონმა ჩაკრაბარტიმ. — ასევე მინდა განვაცხადო, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, ვაპირებთ საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა დაფინანსებას, ხელს შევუწყობთ საბანკო სექტორის გაძლიერებას.

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ყოველწლიურ შეხვედრასა და ბიზნეს-ფორუმს ოთხი ათასზე მეტი დელეგატი, 1500-მდე ბიზნესმენი დაესწრება, მის მიმდინარეობას მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიები, ახალი ამბების სააგენტოები და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები გააშუქებენ. შეხვედრის ფარგლებში EBRD ასევე სამოქმედო ხუთწლიან გეგმასაც დაამტკიცებს.

აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო შეთავაზებათა გარდა, საქართველოს ხელისუფლებამ ასევე ფორუმის მონაწილეთათვის სამამულო წარმოების სხვადასხვა სახეობის პროდუქციის გაცნობაზე იზრუნა. ამ მიზნით, ფორუმის ფარგლებში მთელი რიგი გამოფენა-გაყიდვაა დაგეგმილი. საერთო დევიზით „აღმოაჩინე საქართველო“ ერთ-ერთი ასეთი გამოფენა პარლამენტის წინ სახელდახელოდ მოეწყო, სადაც საქართველოში წარმოებული პროდუქცია გაიყიდება.

საყურადღებოა, რომ ფორუმის ფარგლებში ერთი სესია მთლიანად საქართველოს საინვესტიციო გარემოსადმი იქნება მიძღვნილი, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება პოტენციურ ინვესტორთა ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის წარმოებისადმი ინტერესის გასაღვივებლად.

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის თბილისში გამართული შეხვედრისა და ბიზნეს-ფორუმის დასრულების შემდეგ კი საქართველოს მთავრობა საინვესტიციო პროექტებზე შეთანხმების გაფორმებას ელის, რის შესახებ არაერთხელ ითქვა.

* * *

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველთა საბჭოს ყოველწლიური სხდომის პირველი სესია 14 მაისს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში ბანკის მმართველისა და კვიპროსის ფინანსთა მინისტრის **ჰარის გეორგიადესის** თავმჯდომარეობით გაიმართება. მისასალმებელი სიტყვებით გამოვლენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი,** ჰარის გეორგიადესი და ბანკის პრეზიდენტი **სუმა ჩაკრაბარტი**.

ფორუმის ღონისძიებები ოთხ სხვადასხვა ადგილას, კერძოდ, საქართველოს პარლამენტში, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში, ახალგაზრდობის სასახლესა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიმართება. მათ შორის მოეწყობა EBRD-ს მმართველთა საბჭოს სესია, სადისკუსიო ჯგუფებისა და ფორუმის პარტნიორთა სხდომები, სექციების მუშაობის პროგრამის შესაბამისად მონაწილეები განიხილავენ საქართველოს, თურქეთის, მაკედონიის, სერბეთის, ეგვიპტის, ბალტიის სახელმწიფოთა, მოლდოვას საინვესტიციო პერსპექტივებს, საქმიან კლიმატს, სხვადასხვა პროგრამების სამრეწველო პლატფორმებს, დაფინანსებისა და ეკონომიკური განვითარების, ასევე მთელ რიგ სხვა საკითხს.

**ოთარ ტურაბელიძე**

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების ევროპული ბურჯი



## ◉ ალიან-ჩალიანი

## გაფორმდა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულება

**საქართველომ ლიხტენშტეინთან, ისლანდიასთან და კვიპროსთან ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულებები გააფორმა. ხელშეკრულებები EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრის და ბიზნეს-ფორუმის ფარგლებში გაფორმდა. საქართველომ ხელი მოაწერა შემოსავლებისა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ პარაფირებულ შეთანხმებებს.**



**დოკუმენტს ქართული მხრიდან ხელი მოაწერა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა. ლიხტენშტეინის და კვიპროსის მხრიდან ასევე ფინანსთა მინისტრებმა და ისლანდიის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.**

**როგორც ნოდარ ხადურმა აღნიშნა, ასეთი ტიპის შეთანხმებები ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია ქვეყანაში ინვესტიციების წახალისებისთვის, რადგან აღნიშნული დოკუმენტები ქმნიან ე.წ. ჩარჩო პირობებს, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნების მიერ საქართველოში კერძო ინვესტირების დაბანდებას. აღნიშნულ ქვეყნებთან დადებული შეთანხმებების მუხლები ნათლად განსაზღვრავენ ქვეყნებს შორის დაბეგვრის უფლებას, რათა პირის მიერ მიღებული შემოსავალი დაიბეგროს მხოლოდ ერთხელ. შეთანხმებები ასევე მოიცავს საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტებს, რაც პირების მიერ გადასახადების გადაუხდელობისგან თავის არიდებას ითვალისწინებს.**

**დღეს სიტყვა ინვესტიცია ყველას პირზე აკერია. მასთან განსაკუთრებული „მეგობრობა“ აკავშირებთ ხელისუფლებიდან პანღურით გარეკილ და ამჟამად პარლამენტში „მთავარ ოპოზიციონერებად“ ჩამორიგებულ ნაციონალებს, რომლებიც კოალიციური მთავრობის უუნარობისა და უსაქმურობის ყველაზე ნიშანდობლივ მაჩვენებლად იმას მიიჩნევენ, რომ ინვესტორები დააფრთხეს და საქართველოს სათოფეზეც აღარ ეკარებიან. აი, ნახეთ, ბატონებო, ასავსავებენ ხელებს ნაცები, ჩვენი მმართველობის წლებში საქართველოში ინვესტიციები დუღდა და გადმოდიოდა, ამათ კი (ქოცებმა) თავიანთი უქნარობითა და არაკომპეტენტურობით იმდენი ქნეს, რომ ახალი ინვესტორები ხომ ვერა და ვერ მოიზიდეს და ძველებსაც, რომლებსაც პროექტებში მილიონები ჰქონდათ ჩადებული, საქმეზე ხელი აალებინეს და გააქციესო.**

მართალია, რასაც ნაცები ქაქანებენ, თუ როგორც სჩვევიათ, ამჯერადაც ინვესტიციებით სპეკულაციას ეწევიან? ვინმემ მიკერძოება რომ არ დაგვწამოს, მოდით, საქართველოს სტატისტიკის („საქსტატის“) ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებს გადავხედოთ და დასმულ კითხვას პასუხი ოფიციალურად მოვარგოთ.

და აი ისიც: „საქსტატის“ მონაცემებით, ბოლო 10 წელიწადში (2005-2014 წლებში) საქართველოში 10,909 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. სოლიდური ციფრია, არა? კაცმა რომ თქვას, ბოლო ათწლეულში თუ ქვეყანაში 11 მილიარდ დოლარამდე ოდენობის კაპიტალი ჩაიდო ეკონომიკაში, ეს უკანასკნელი თუ არ აყვავდებოდა, რამდენიმე ხეირიანი ნაბიჯი ხომ მაინც უნდა გადაედგა? თქვენც არ მომიკვდეთ, ქართულ ეკონომიკას ამ მოძალებული კაპიტალის ფონზე ნირიც არ უცვლია, ქვეყანაში არც უმუშევრობა შემცირებულა, არც სიღარიბე და არც საკუთარ ჯიბეზე უგრძნია ვინმეს შეღავათი და კეთილდღეობა, რა თქმა უნდა ნაცების თავკაცთა გარდა, რომელთაც ამ ინვესტიციების წყალობით კარგა მაგრად „იჯეჯილეს“.

საიდან დაასკვენით ნაცების „ჯეჯილობაო“, არ იკითხავთ? მე კი არა, ბატონებო, ეკონომიკის ექსპერტები აკეთებენ ასეთ დასკვნას. ერთი სამუშაო ადგილის შესაქმნელად, ამბობენ ისინი, საჭიროა 25-30 ათასი ლარის ინვესტიცია. 2005 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში 388,9 ათსიდან 534,9 ათას კაცამდე გაიზარდა, ანუ 146 ათასი კაცით. 11 მილიარდი დოლარის ინვესტიციის პირობებში კი ის უნდა გაზრდილიყო 440 ათასი კაცით.

**„სად გაქრა ის 300 ათასი სამუშაო ადგილი,** — კითხულობს ექსპერტი გიორგი თავაძე, — **რომელიც ზემოაღნიშნული პირდაპირი ინვესტიციების შედეგად უნდა წარმოქმნილიყო? 140 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას უკეთეს შემთხვევაში, 3,6 მილიარდი დოლარი დასჭირდა, რა იქნა დანარჩენი 7,3 მილიარდი დოლარი, რომელიც „საქსტატის“ მონაცემებით, პირდაპირი ინვესტიციების სახით ჩაიდო საქართველოში?“**

ამ, ცოტა არ იყოს, საჩოთირო კითხვას, პასუხს მეორე ექსპერტი გია ხუხაშვილი იძლევა. **„მთელი ამ წლების მანძილზე,** — აცხადებს ის, — **ხელისუფლების სტრატეგიული მიდგომა არასწორი იყო. კერძოდ, მთავრობა პირდაპირი ინვესტიციების სახით „ქეშს“ ითვლიდა და არ ფიქრობდა იმაზე, რომ ინვესტირებას დასაქმების, სოციალური რისკების, თუნდაც ეკონომიკური გრძელვადიანი სტაბილურობის თვალსაზრისით, მაშინ აქვს ეფექტი, როდესაც ეს ფული ქვეყნის შიგნით დამატებით ღირებულებას ქმნის, ანუ ეკონომიკაში ბრუნავს“.**

საქართველოში, როგორც ირკვევა, ძირითადად, სპეკულაციური ინვესტიციები შემოდიოდა, რომელიც, ბუნებრივია, არც ეკონომიკის რეალურ ზრდაზე აისახა და არც მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. ან როგორ აისახებოდა, როცა პირდაპირი ინვესტიციებით შემოსული თანხა უშუალოდ საწარმოებისა და სამუშაო ადგილების, პროდუქციის შექმნაზე არ იხარჯებოდა. თუ ინვესტორი უამრავ ქონებას შეიძენს, დამატებით ინვესტიციებს არ განახორციელებს და ამ ყველაფერს დააკონსერვებს, რა თქმა უნდა, სამუშაო ადგილები არ შეიქმნება. აკი არც იქმნებოდა.

ექსპერტთა აზრით, ასეთ დროს, როგორც ირკვევა, ხდება უკვე მოქმედი ღირებული აქტივების ყიდვა-გაყიდვა და მხოლოდ მფლობელების შეცვლა შემდგომში კაპიტალის მნიშვნელოვანი დაბანდებებისა და დასაქმებულთა რაოდენობის გაუზრდელად. **უფრო ხშირად ადამიანებს კი არ ასაქმებენ, არამედ ახდენენ მომუშავეთა რაოდენობის „ოპტიმიზაციას“ (შემცირებას), რაც აისახა კიდეც 2014 წლის სტატისტიკაში, როდესაც ბიზნესში დაქირავებულთა რაოდენობა 6050 კაცით შემცირდა. 11 მილიარდი დოლარი რომ მართლაც პირდაპირი ინვესტიციების სახით მოხმარებოდა ქვეყნის ეკონომიკას, ახლა მისი ზრდის ტემპი ხუთიდან ორ პროცენტამდე კი არ შემცირდებოდა, რაზეც ნაცები უსინდისოდ მთელ პასუხისმგებლობას ქოცებს აკისრებენ, პირიქით, სულ ცოტა ორჯერ ხუთი პროცენტი მაინც იქნებოდა.**

ფაქტობრივად ინვესტიციები, — ამბობს გია ხუხაშვილი, — რომელიც ქვეყანაში შემოდიოდა, პარადოქსია, მაგრამ სამუშაო ადგილებს არა საქართველოში, არამედ სხვაგან ქმნიდა. მისი აზრით ფული, თითქოს ეკონომიკაში ბრუნავდა, ვირტუალური კეთილდღეობის სურათი იქმნებოდა, მაგრამ რეალურად მოსახლეობა ისევ გაუსაძლის სიღარიბეში რჩებოდა. ამის დასტურია ნაცბანდის მმართველობის პერიოდში თუნდაც ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროში განხორციელებული ეგრეთწოდებული ინვესტიციების წყალობით დატაცებული 2 მილიარდ ლარზე მეტი თანხა, რაც საქართველოს ეკონომიკას რომ მოხმარებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, დღეს რა წარმატებული ქვეყანა გვექნებოდა?!

ახლახან გამოცემულ წიგნში („ქართული ეკონომიკის მკვლელები“) მისი ავტორი თეიმურაზ ჭიჭინაძე, კონკრეტულ კვლევაზე დაყრდნობით, მაშინდელ ხელისუფლებას (ნაცებს) ბრალს სდებს ამერიკელ ინვესტორ AES-თან „საქმიან გარიგებაში“, რომელიც რიგი მაქინაციების გზით ელექტროენერგიის ტარიფების გაბერვას „აპრავებდა“ და მოსახლეობას დიდძალ თანხებს სძალავდა. შედეგად ის მივიღეთ, რომ კომპანიის შემოსავლიდან სულ რაღაც 3 წელიწადში „თელასის“ ტარიფი 5,5-ჯერ გაიზარდა, ხოლო მისი განაწილებისა და დისტრიბუციის წილი მთლიან ტარიფში — 60-70 პროცენტამდე. **უხეში გათვლებით დგინდება, რომ 2002 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, „თელასმა“ დაახლოებით 22,5 მილიარდი**

# ინვესტიციებს სტატისტიკოსები ითვლიდნენ, ფულს — ნაციონალები!



**კილოვატსაათი ენერგია მიაწოდა მომხმარებელს და თითოეულ კილოვატსაათზე მიიღო 6,32 თეთრით მეტი, ვიდრე 2002 წლამდე არსებული ტარიფით მიიღებდა. შედეგად „თელასმა“ მოსახლეობისგან 10 წლის განმავლობაში ტარიფის გაზრდით 1 მილიარდ 430 მილიონი ლარით მეტი შემოსავალი მიიღო, რითაც 520 ათასზე მეტ ღატაკ აბონენტს ცხოვრება ერთიორად დაუმძიმა.** ამ უკანასკნელს უკანასკნელი გროშები წაღლიტა კეთილი ინვესტორის სახელით („ენერგო პროჯორჯია“) შემოსულმა მეორე უცხოურმა კომპანიამ, რომელსაც საქართველოში ჯერ ერთი თეთრის ინვესტიციაც არ ჰქონდა განხორციელებული და გულმოწყალე ნაცებმა ტარიფი მაქსიმალურად გაუზარდეს. **ამ და სხვა მაქინაციების წყალობით, სახელმწიფო ბიუჯეტმა სულ მცირე 200 მილიონი დოლარის შემოსავალი დაკარგა(!).**

თუმცა, ეს არ გახლავთ ერთადერთი ზიანი, რაც ქვეყანამ ამ ინვესტორი (თუ ამას ინვესტორი ჰქვია) კომპანიისგან მიიღო. თავის დროზე „ენერგო პროჯორჯიამ“ დადო პირობა, რომ 85 მილიონ დოლარს შეძენილი ჰესების რეაბილიტაციაში ჩადებდა, 100 მილიონს კი ახალი ჰესების აშენებაში. აღნიშნული ინვესტიციები ტარიფში კი აისახა, მაგრამ პრაქტიკულად არ განხორციელებულა. ამის მიუხედავად, მომხმარებელი დღემდე იხდის ტარიფში ჩადებულ ამ თანხას და ერთ კვტ/სთ ელექტროენერგიაში ადრინდელი 6 თეთრის ნაცვლად 16 თეთრს. სამაგიეროდ, ინვესტორმა იხეირა, რომელმაც დამატებით 2,6 მილიარდი ლარის შემოსავალი ჩაიჯიბა.

ვალდებულებების მხრივ არანაკლებ წარმატებულად გამოიყურება დედაქალაქის წყალსადენში უცხოურ ინვესტორად მოვლენილ „მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი“, რომელმაც დაპირებული 24-საათიანი წყალმომარაგება მომხმარებელთა დიდი ნაწილისთვის კვლავაც მიუწვდომელ ოცნებად დატოვა. მოუწესრიგებელია თბილისის (რომ აღარაფერი ვთქვათ რუსთავზე) წყალმომარაგების ქსელი, რის გამოც ქალაქი იმაზე ათჯერ მეტ წყალს ხარჯავს, ვიდრე ეს ნორმითაა გათვალისწინებული, ამასთან, ყოველ კუბმეტრ წყალში მომხმარებელი ორ-სამჯერ ძვირს იხდის(!).

ყველაზე ცუდი ის არის, რომ დაპირების მიუხედავად, **ქვეყანაში დღესაც არ არსებობს პოლიტიკური ნება, გადაიხედოს ინვესტორებთან დადებული კაბალური ხელშეკრულებები, განხორციელდეს ობიექტური მონიტორინგი, როგორ სრულდება მათ მიერ აღებული ვალდებულებები, რათა მოსახლეობა ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადს კვლავ იმ უსამართლო, კაბალური ტარიფებით აი იხდიდეს, რაც წინა, ნაცბანდელთა ხელისუფლებამ დაგვიდგინა.** გაუგებარია, განა ასე ძნელია კოალიციური მთავრობისთვის ხელისუფლებაში მოსვლამდე ხალხისთვის მიცემული დაპირებების შესრულება?!

როგორც უკვე ვთქვი, ნაცები ქოცების მიერ ქვეყნის ეკონომიკის ჩამოქცევის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ამ უკანასკნელებმა უცხოური ინვესტორები დააფრთხეს და უკან მობრუნების ყველა გზა მოუჭრეს. ახლები ძველების ამ განცხადებას დემაგოგიად, ცრუპენტელობის ნიმუშად აღიქვამენ და კონკრეტულ ციფრებზე დაყრდნობით, ეკონომიკის წარმატებულ ნაბიჯებზე საუბრობენ. **2014 წელს,** — თქვა პრემიერმა ღარიბაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას, — **ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლით (4,8 პროცენტი) საქართველომ რეგიონში ლიდერის ადგილი დაიმკვიდრა. შარშან, 2011 წელთან შედარებით, ქვეყანაში შემოვიდა 139 პროცენტით მეტი ინვესტიცია, ხოლო 2012 წელთან შედარებით, ინვესტიციების მოცულობა 40 პროცენტით გაიზარდა. ქვეყნის პირველ ფინანსისტს — ნოდარ ხადურს თუ დავუჯერებთ, ბოლო ორ წელიწადში დამატებით ქვეყანაში 30 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნა.**

მაგრამ, ამის მიუხედავად, მოსახლეობა გამდიდრების ნაცვლად თუ კიდევ უფრო გაღარიბდა?! ექსპერტთა ერთი ნაწილი ამის ერთ-ერთ მიზეზად იმას მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დამოუკიდებელი ინვესტიციებისთვის ასპარეზი შეკვეცილია. ამის მაგალითად ასახელებენ მიწასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, რითაც დააშინეს ინვესტორები და გააქციეს საქართველოდან. ქვეყანაში შექმნილია არაფორმალური სისტემა, რომელიც არ აძლევს საშუალებას სხვადასხვა ჯგუფებს, აკეთონ ბიზნესი თავისუფლად. სანამ ეს ინსტიტუტი არ ჩანაცვლდება ახლით, სიტუაცია არ გამოსწორდება. ეკონომიკის ზემოდან მართვა წარსულის გადმონაშთია, ამით აღარავინ იგებს, ყველა აგებს.

ამ აზრს არ იზიარებენ ქვეყნის თავკაცები, რომლებიც დიდ იმედებს ამყარებენ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თაოსნობით ამ დღეებში თბილისში გამართულ ბიზნესფორუმზე. ბანკის ხელმძღვანელთა განცხადებით, საქართველოს ეძლევა შანსი, ფართოდ წარმოადგინოს თავისი საინვესტიციო შესაძლებლობები, გაზარდოს ბიზნესცნობადობა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ჯანსაღი ბიზნესის კეთების პირობები და ამოსწიოს ეკონომიკა. როგორ გამოიყენებს ამ შანსს გაუფასურებული ეროვნული ვალუტის პატრონი ქვეყნის ხელისუფლება, ახლო მომავალში გამოჩნდება.

**ოთარ ხუციშვილი**

## კაკალ გულში

**● 17 მაისის საქმეზე ევროსასამართლომ საქართველოს 33 500 ევროს გადახდა დააკისრა!**

**მთავრობავ, ოფიციალურად ვაცხადებ, რომ ბიუჯეტიდან ჩემი 62 ევრო არ გადაიხადოთ!!!**

**მე არ ვიხდი და შეგიძლიათ ჯერ ჯარიმები დამაკისროთ, მერე სახლში მოხვიდეთ თქვენი აღმასრულებლებით, და ბოლოს დამაპატიმროთ გადაუხდელობის და წინააღმდეგობის გაწევის გამო!**

**● 9 მაისს „რუსთავი 2“-მა აჩვენა ე.წ. დოკუმენტური ფილმი საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენ დანაშაულზე „გოლოდომორზე“ (რატომღაც თარგმანში იყო „პოლოდომორი“), რომელშიც თავიდან გახმიანდა ჰოლოკოსტთან შედარება.**

**შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ცუდი,**

### ნეჩცილოვანი ოხაზები

**არადემოკრატიული და არაცივილიზებული შეკითხვა გამიჩნდა:**

**— ის ჩეკისტები, სოფლის აღმასრულებლები, ის ბოროტი კომუნისტები, რომლებმაც მართლაც რომ გენოციდი მოაწყვეს უკრაინაში, რა ეროვნების იყვნენ?**

**● ძმის პანაშვიდზე არმისული გუნავა, ხალხის ბანკის სესხებზე ნერვიულობს!**

**● ვფიქრობ, ე.წ. დაცვის თანამშრომლების რიცხვით, პირველ ადგილზე ვართ მსოფლიოში. ყველას, ნებისმიერი ხელობის და ჩინის კაცს, ვინც ერთხელ მაინც გამოჩენილა ტელევიზორში, დაცვა ჰყავს.**

**აგერ, გავრცელდა ფოტო, დგას ქალბატონი ქართული ჯარის (რომელიც მთელ ქვეყანას იცავს) წინ და კიდევ „დაცვის თანამშრომელი“ ადგას თავზე მთასავით. ეს სამსახური რომ გაუქმდეს, საქართველოს მოსახლეობის მეორე ნახევარიც უმუშევარი დარჩება.**

**ამბობენ, მჟავანაძის მძღოლს, ამავე დროს დაცვის ფუნქციაც ჰქონდაო.**

**კიდევ ბევრ რამეს ამბობენ...**

**● ძალიანაც მომწონს ევროპა, მაგრამ როგორც არ უნდა ეცადოთ, ერთსქესიანთა ქორწინება სავალდებულოც რომ გახადოთ, იცოდეთ მე მიშა სააკაშვილს ცოლად მაინც არ მოვიყვან!**

**ჰა, მეძახეთ ახლა ბნელი და რუსეთის აგენტი, რამდენიც გინდათ!**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „აღიარებათა“ ალღუმი

**ოფიციალურმა თბილისმა არანაირი რეაგირება არ მოახდინა ბრძანებულებაზე, რომელიც გამოსცა თვითგამოცხადებული დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ზახარჩენკომ. მასში საუბარია საქართველოსთვის კონტროლგარეშე დარჩენილი აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.**

პრაქტიკულად საქართველოს ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალებამ ისაუბრა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის „აღიარების“ შესახებ დონეცკის სახალხო რესპუბლიკის მხრიდან, რომელიც თავადაც ეღიარებელია. შესაბამის ბრძანებულებას ხელი მოეწერა დონეცკში სამხრეთი ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის ანატოლი ბიბილოვისა და აფხაზეთის თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელის ფაზლიბეი ავიძბას თანდასწრებით. ეს ახალი ამბავი საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავიდა საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა ყოველგვარი კომენტარების გარეშე, თუმცა, ხელისუფლება თავს არ იზღვევს განცხადებებისგან, როდესაც საკითხი შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს.

მაგრამ ამჯერად ოფიციალური კომენტარები ზედმეტი იქნებოდა, ამტკიცებს ქართველი კონფლიქტოლოგი და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების კოალიციის“ ხელმძღვანელი ზურაბ ბენდიანიშვილი. ეს აღიარება, მისი სიტყვებით, არანაირ გავლენას არ მოახდენს შექმნილ სიტუაციაზე. ყურადღების ნებისმიერი გამოვლენა ამ მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან გახდება თავისებური პიარი დონეცკის სეპარატისტებისთვის, ამბობს ბენდიანიშვილი:

**„რეაგირება საჭირო არ არის, ეს იქნებოდა სეპარატისტების დიდი მხარდაჭერა, ვიდრე ასეთი უგუნური, სულელური, არასაჭირო გადაწყვეტილებათა უგულებელყოფა არარსებური სტრუქტურების მხრიდან, რომლებსაც არავინ აღიარებს, თვით რუსეთიც კი. მათი უგულებელყოფა უნდა მოვახდინოთ სრულად. დიდი ღირსებაა... ეს „აღიარება“ სწორედ მიზნად ისახავს, რომ გაკეთდეს კომენტარები და ისინი ცნობილები გახდებოდნენ“.**

ამ აზრს ეთანხმება ქართველი პოლიტოლოგი ირაკლი ცქიტიშვილიც. აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის „აღიარება“ უღიარებელი დონეცკის სახალხო რესპუბლიკის მხრიდან მან მიიჩნია „თვითგამოცხადებული რესპუბლიკების თამაშებად“.

მიუხედავად ამისა, ცქიტიშვილი საუბრობს, რომ გარკვეული თანამშრომლობა თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს შორის არსებობდა გუშინდელ „აღიარებამდეც“, თუმცა, უფრო მეტად სიტყვებით. მაგალითად, ეგრეთ წოდებული ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკების ლიდერები აპირებდნენ, მოეწყოთ სანქციები, რომლებიც არ იძლევიან საშუალებას ფინანსური ოპერაციების განხორციელებისთვის, მოიზიდონ დონეცკსა და ლუგანსკში აფხაზური ბანკები, რომლებიც ოპერაციების ახორციელებენ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მაგრამ სიტყვების იქით საქმე არ წასულა.

ამ დროს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის „აღიარების შესახებ თვითგამოცხადებული დონეცკის სახალხო რესპუბლიკის მხრიდან დუმან არა მხოლოდ ქართველები. არაფერია ამის შესახებ ნათქვამი აფხაზურ საიტებზეც. შესაძლებელია, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ თვითგამოცხადებული სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ პირველმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ აღიარა ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. ახლა ეგრეთწოდებული დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ლიდერები ელოდებიან ამგვარსავე ნაბიჯს აფხაზებისგანაც. თვითგამოცხადებული აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატმა ფაზლიბეი ავიძბამ გამოთქვა რწმენა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება უახლოეს პერიოდში.

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com

# ევროატლანტიკური კურსი ევრაზიული ვექტორის წინააღმდეგ

**საქართველოში აღნიშნავენ იმათი რიცხვის ზრდას, ვისაც სურს, იხილოს ქვეყანა ევრაზიულ კავშირში, მაგრამ ევროატლანტიკური კურსის მხარდაჭერა ქვეყნის მოსახლეობას შორის უფრო მეტია. ასეთია გამოკითხვის შედეგები, რომელიც საქართველოში ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ — ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა — მოაწყო 27 მარტიდან 19 აპრილამდე. ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოკითხეს 4360 კაცი.**

შარშანდელ ანალოგიურ გამოკითხვაში, რომელიც 2014 წლის აგვისტოში მოეწყო, საქართველოს ევროკავშირთან მიერთებას გამოკითხულთა 20 პროცენტმა დაუჭირა მხარი, მაგრამ 2015 წლის აპრილში მათმა რიცხვმა უკვე შეადგინა 31 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ შარშან აპრილში საქართველოს ევროკავშირთან მიერთებას მხარი დაუჭირა რესპონდენტთა 16-მა პროცენტმა, 2013 წლის ნოემბერში კი — სულ რაღაც 11 პროცენტმა. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული-დემოკრატიული ინსტიტუტის უკანასკნელი გამოკითხვის დროს რესპონდენტთა 41 პროცენტმა მხარი არ დაუჭირა საქართველოს შესვლას ევროკავშირში, 27-მა პროცენტმა კი განაცხადა, რომ ამასთან დაკავშირებით მათ თავიანთი მოსაზრება არ გააჩნიათ.

ამავე დროს წინა გამოკვლევებთან შედარებით იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს ატლანტიკურ ინტეგრაციას, შემცირდა. მაგალითად, აპრილში 65 პროცენტმა განაცხადა, რომ სურთ, იხილონ საქართველო ნატოს წევრად. ამავე დროს მოსახლეობას შორის არ შეცვლილა ევროინტეგრაციის მხარდაჭერის მაჩვენებელი. როგორც 2014 წლის აგვისტოში, აპრილშიც გამოკითხულთა 68 პროცენტმა განაცხადა, რომ მხარს უჭერენ საქართველოს მიერ 2014 წლის ივნისში ხელმოწერილ შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ.

ამ დროს ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვის მონაწილეთა 49 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს ინტეგრაციისგან დასავლეთ სტრუქტურებში.

ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის აპრილის გამოკვლევის შედეგად, გამოკითხულთა 80-მა პროცენტმა განაცხადა, რომ რუსეთი გავლენას ახდენს საქართველოზე, თანაც 76 პროცენტი მათგან მიიჩნევს, რომ ეს მოვლენა „ნეგატიურია“. ამ დროს გამოკითხულთა 55 პროცენტი დარწმუნებულია, რომ რუსეთის გავლენა საქართველოზე მომდევნო 2 წლის განმავლობაში გაძლიერდება.

რესპონდენტთა 47 პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთი წარმოადგენს „რეალურ და არსებით საფრთხეს საქართველოსთვის“. 36 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ, მართალია რუსეთი არის საფრთხე საქართველოსთვის, ამ საფრთხის სერიოზულობა გადაჭარბებულია. საქართველოს მცხოვრებთა მხოლოდ 11 პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთი არ წარმოადგენს საფრთხეს ქვეყნისთვის.

### მნიშვნელოვანი დასკვნები

**მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აღელვებს საქართველოს გამოკითხულ მცხოვრებლებს, აპრილში აღმოჩნდა შრომითი მოწყობის, ფასების და ინფლაციის ზრდის პრობლემები, აგრეთვე მოსახლეობის კეთილდღეობის დონის დაქვეითება. ამჯერად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა 27 პროცენტით.**

**„ჩვენი გამოკვლევის თანახმად, პირველად გამოჩნდა ის რომ ტერიტორიული მთლიანობა არ აღმოჩნდა ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხთან შორის პირველ სამეულში, ეს ნიშნავს, რომ მას გაუსწრეს ეკონომიკურმა საკითხებმა, და ეს მნიშვნელოვანი გზავნილია იმ პირებისთვის, ვინც ღებულობს გადაწყვეტილებებს“,** — განუცხადა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს 11 მაისს საქართველოში ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის ოფისის დირექტორმა ლორა ტორნტონმა.

აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციის წინა გამოკითხვის დროს სხვა უმწვავეს პრობლემებს შორის რესპონდენტებმა გამოყვეს სამუშაო ადგილები — 63 პროცენტი, სიღარიბე — 32 პროცენტი, ტერიტორიული მთლიანობა — 30 პროცენტი.

უკანასკნელი გამოკითხვის შედეგად გამოკითხულთა 34 პროცენტმა განაცხადა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ 2012 წელს მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. 55-მა პროცენტმა კი — რომ იგი არ შეცვლილა, 11 პროცენტს კი მიაჩნია, რომ ცხოვრობენ უკეთ.

ამ დროს შარშან აგვისტოდან 40-დან 23 პროცენტამდე შემცირდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც იწონებენ საქართველოს ამჟამინდელი განვითარების ხასიათს, ხოლო 16-დან 37 პროცენტამდე გაიზარდა იმათი რიცხვი, ვისაც საპირისპირო მოსაზრება აქვს. ამავე დროს გამოკითხულთა 34 პროცენტს მიაჩნია, რომ „საქართველო საერთოდ არ იცვლება“.

ასევე პირველად საქართველოში ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვათა ისტორიაში, მთავრობის მუშაობით უკმაყოფილოთა რიცხმა (50 პროცენტი) გადააჭარბა იმათ ოდენობას, ვისაც მიაჩნია, რომ მთავრობა ახორციელებს მათთვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს (45 პროცენტი). 2014 წლის აგვისტოში ანალოგიურ შეკითხვაზე მაჩვენებლებმა შეადგინეს 52 და 35 პროცენტი შესაბამისად.

ამავე დროს გამოკითხულთა 56 პროცენტს არ მიაჩნია, რომ პრობლემებს უკეთ გადაწყვეტდა საპარლამენტო ოპოზიცია — ესე იგი ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, და თავდაცვის ექს-მინისტრს ირაკლი ალასანიას პარტია „თავისუფალი დემოკრატები“.

მიუხედავად ამ მაჩვენებლებისა, გამოკითხულთა უმრავლესობამ განაცხადა, ისინი მაინც ოპტიმისტურად არიან განწყობილი საქართველოს მომავლის შეფასებაში. მაგალითად, რესპონდენტთა 40-მა პროცენტმა გამოთქვა რწმენა, რომ სიტუაცია ქვეყანაში გაუმჯობესდება, ამავე დროს 27 პროცენტი მიიმჩნევს, რომ „არაფერი შეიცვლება“, 13 პროცენტი კი ფიქრობს, რომ დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით სიტუაცია გაუარესდება...

Voice of America

# დედამიწის ზურგზე



### ბილ კლინტონს იმედი აქვს, დაბრუნდეს თეთრ სახლში, თუ მისი ცოლი ჰილარი მოიგებს პრეზიდენტის არჩევნებს

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კვლავ კმაყოფილებით დასახლდება თეთრ სახლში, თუ ჰილარი შესთავაზებს მას ამის გაკეთებას და თუ იგი შეძლებს არჩევნების მოგებას. ამავე დროს ბილმა აღნიშნა, რომ მის მეუღლეს, რომელიც მონაწილეობას ღებულობს საპრეზიდენტო რბოლაში, მოუწევს, გაიმარჯვოს არა მხოლოდ საერთო ეროვნულ კენჭისყრაში, არამედ შინაპარტიულ ბრძოლაშიც სხვადასხვა კანდიდატებს შორის დემოკრატებიდან.

### ანტალიაში ნატო რუსეთის ფედერაციასა და უკრაინასთან შემდგომ ურთიერთობებს განიხილავს. შეხვედრის წინ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კრიტიკულ განცხადებას ავრცელებს

ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელთა შეხვედრის მთავარი თემები გახდება ალიანსის გაძლიერება იმ საფრთხის ფონზე, რომელიც, დასავლეთის აზრით, მოდის რუსეთიდან, აგრეთვე ურთიერთობანი მოსკოვთან და კიევთან. რუსეთის ფედერაციასა და ნატოს შორის ურთიერთობათა მოწესრიგების შუამავლად თურქეთს ითვალისწინებენ, თუმცა, ოფიციალური ანკარის წარმომადგენელთა ზოგიერთი გამონათქვამი ეჭვს იწვევს, რომ ეს მოხდება.



### აშშ-ში რელსებს ასცდა სამგზავრო მატარებელი: სულ ცოტა 5 კაცი დაიღუპა, დაზიანდა არანაკლებ 140 კაცისა

საგანგებო შემთხვევა მოხდა ფილადელფიაში, პენსილვანიის შტატის უდიდეს ქალაქში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, რელსებს ასცდა შემადგენლობის 10 ვაგონი, რომლითაც 240 კაცი მგზავრობდა. წინასწარი ინფორმაციით, მოხდა შეტაკება სატვირთო მატარებელთან.

### კიმ ჩენ ინის თანდასწრებით ჩაძინებული კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი საზენიტო დნადგარიდან დახვრიტეს

მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან ჩრდილოეთი კორეის მაღალი რანგის ჩინოვნიკის — თავდაცვის მინისტრის ხიონ იონ ჩხოლის სიკვდილით დასჯის შესახებ. სამხრეთი კორეის დაზვერვა ამტკიცებს, რომ მან თავს ნება მისცა, წაეთვლიმა სამხედრო ღონისძიებაზე ქვეყნის ლიდერის მონაწილეობით. და დახვრიტეს იგი მაღალი კალიბრის ტყვიამფრქვევიდან.



# ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

**1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:**

| ლოტის № | ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა | ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 230 | 53.06.37.119 | 5100 | 1530 | 510 | 30 |
| ლოტი №2 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 458 | 53.06.37.105 | 6800 | 2040 | 680 | 30 |
| ლოტი №3 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 404 | 53.11.41.192 | 9600 | 2880 | 960 | 30 |
| ლოტი №4 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 100 | 53.16.34.230 | 1800 | 540 | 180 | 30 |
| ლოტი №5 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 305 | 53.04.33.163 | 7300 | 2190 | 730 | 30 |

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბ.კ. LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE20LB0120153513276002, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ.კ. TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2015 წლის 14 მაისიდან 2015 წლის 12 ივნისამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 12 ივნისს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტებისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

# ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებიანი საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

**1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:**

| ლოტის № | ქონების დასახელებაა ადგილმდებარეობა | შენობის ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ნაგებობა | 732,3 | 53.05.38.012 | 2 200 | 660 | 220 | 30 |

2. აუქციონში გამარჯვებულმა პირმა 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში მოახდინოს შენობის სრული დემონტაჟი (აუქციონის პირობები). დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონება სრულად გადაეცემა აუქციონში გამარჯვებულს.

3. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბ.კ. LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE20LB0120153513276002, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ.კ.LBRTGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

5. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

7. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2015 წლის 14 მაისიდან 2015 წლის 12 ივნისამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 12 ივნისს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

8. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

კრივი



# ერთი „ოქრო“ და სამი „ბრინჯაო“

**ბელარუსის დედაქალაქში ტრადიციული ლევენცევის საერთაშორისო მემორიალი გაიმართა, რომელშიც 10 ქვეყნის უძლიერესი მოკრივეები ცდიდნენ ძალებს.** ქართველთაგან ნიკოლოზ სეხნიაშვილმა იყოჩაღა — 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველ ადგილზე გავიდა. გიორგი გოგატიშვილმა (56 კგ), ლევან გულედანმა (91) და მსგავსი ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა, ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა მიხეილ ბახტიძემ ((91) ნახევარფინალური შეხვედრები დათმეს და ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

**გივი გაგუა**

**სურათზე: ქართველი მოკრივეები მინსკში.**

ჩოგბურთი

# ამაგდარი პედაგოგის სახელობისა



**წლეულს მეთექვსმეტედ გაიმართა ჩოგბურთში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და მასწავლებლის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარის, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრის — გურამ თოხაძის თასის გათამაშება, რომელსაც მისივე სახელობის საჩოგბურთო სკოლის კორტებმა უმასპინძლა.** ტურნირში 70-ზე მეტი ქალ-ვაჟი მონაწილეობდა. 16-წლამდელ ვაჟებში პირველობისთვის წრიული სისტემით ექვსი ჩოგბურთელი იბრძოდა. გურამ თოხაძის შვილიშვილმა სანდრო მეფარიძემ ყველა მეტოქეს სძლია და პირველი ადგილი დაიკავა. ჟიურის გადაწყვეტილებით, ტურნირის საუკეთესო მოთამაშის ჯილდო — გურამ თოხაძის თასი მასვე ზედიზედ მეორედ გადაეცა. მეორე-მესამე ადგილებზე ლუკა ხარატიშვილი და ლაშა ჭითავა გავიდნენ. ამ ასაკის გოგონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ანასტასია ზოლოტარიოვა, 2. ია სალუქვაძე, 3. მარი კომახიძე. დანარჩენ ასაკებში პირველ ადგილებზე გავიდნენ: დეა გორგიძე, დავით აჯიევი, ანასტასია კობიძე, ნიკა ბიძინაშვილი, დიმიტრი დუმბაძე, დავით სოლომონია, ნატალია ჯაიანი, გივი ქურთიშვილი. გამარჯვებულები და პრიზიორები გურამ თოხაძემ დააჯილდოვა.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: გურამ თოხაძის თასის გათამაშების გამარჯვებულები და პრიზიორები.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

რაგბი

# „მსოფლიო ალაფა“ ურუგვაელებთან ალაფით დავიწყეთ

**საქართველო: ირაკლი სვანიძე („ჯიქი“), ანზორ სიჭინავა („აკადემია“), გიორგი კოშაძე („ხარები“), ბადრი ლიპარტელიანი („არმაზი“), იოსებ კიკვაძე („აია“), რეზო ჯინჭველაშვილი („აია“), ვასილ ლობჟანიძე („არმაზი“). ნიკა ნეფარიძე („ლოკომოტივი“), ბადრი ალხაზაშვილი („ლელო“), გიორგი მელიქიძე („ხარები“), ოთარ გიორგაძე („აია“), მიხეილ ბაბუნაშვილი („ტარბი“), თორნიკე ბუბუტეიშვილი („ლელო“), დავით პაპავაძე („ჯიქი“), ბექა გორგაძე („მონ დე მარსანი“). ლაშა საჯაია („ჯიქი“), ბექა კაკაბაძე („კლერმონი“), როლანდ კვაჭაძე („ორიაკი“), გიორგი ცუცქირიძე („ბრივი“), გიორგი კვესელაძე („იუნკრები“), თემურ თუთბერიძე („აია“), გიორგი ბაბუნაშვილი („აია“).**

პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში დაიწყო „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფა“, რომელშიც რვა გუნდი მონაწილეობს. საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები A ჯგუფში ასპარეზობს ურუგვაისთან, მასპინძლებსა და ფიჯისთან ერთად. B ჯგუფში ერთმანეთს უპირისპირდებიან კანადა, ნამიბია, ტონგა და ჰონკონგი.

სასტარტო მატჩში ჩვენი ბიჭები სამხრეთამერიკელებს შეხვდნენ. ანგარიში 45-ე წამზე კიკვაძემ გახსნა ლელოთი (ჯინჭველაშვილმა გარდასახვა ვერ გამოიყენა) — 5:0. ხუთიოდე წუთში „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ კიდევ ერთი ლელო ჩაიწერეს აქტივში — თავი ლობჟანიძემ გამოიჩინა. ჯინჭველაშვილმა ამჯერად უნაკლოდ გარდასახა — 12:0. პირველი ტაიმი ქართველმა მორაგბეებმა მშრალი ანგარიშით — 31:0 მოიგეს.

შესვენების შემდეგ ურუგვაელებმა ქართველების პროვოცირება შეძლეს და მოედანზე გუნდური ჩხუბი ატყდა. არბიტრმა წითელი ბარათი ჩვენი ნაკრების კაპიტან ალხაზაშვილსა და მეტოქის მგეზავს უჩვენა. მალე ყველაფერი დაწყნარდა და „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ კიდევ ერთი ლელო გაიტანეს 36:0. ამის შემდეგ მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ჩვენმა ბიჭებმა ეს შეხვედრა 46:12 მოიგეს.

A **ჯგუფი**. პორტუგალია-ფიჯი 34:19; B **ჯგუფი**. კანადა-ნამიბია 35:20, ტონგა-ჰონკონგი 35:16.



**16 მაისი**. A. ურუგვაი-პორტუგალია, ფიჯი-საქართველო; B. კანადა-ჰონკონგი, ტონგა-ნამიბია.

**20 მაისი**. A. საქართველო-პორტუგალია, ფიჯი-ურუგვაი; B. ნამიბია-ჰონკონგი, ტონგა-კანადა.

**24 მაისი**. ფინალი.

**თამაზ პატარაია**

**სურათზე: საქართველო-ურუგვაის შეხვედრის მომენტი.**

ფეხბურთი

# რა ქნას, რომ ბედი არ სწყალობს...

**მოკლედ, არ უწერია მიუნხენის „ბაიერნს“ საკუთარ სამშობლოში ტრიუმფი და ეგ არის. შეგახსენებთ, რომ 2012 წელს ბავარიელებმა „ალიანს არენაზე“ დათმეს ჩემპიონთა ლიგის დრამატული ფინალური მატჩი ლონდონის „ჩელსისთან“, წლეულს 6 ივნისს ბერლინში დანიშნული გადამწყვეტი რაუნდი კი ხოსეპ გვარდიოლას გუნდის გარეშე გაიმართება.**

**„ბაიერნი“ — „ბარსელონა“ 3:2**

**(პირველი მატჩი 0:3).**

გემახსოვრებათ, რომ ზემოთ ნახსენები სამი წლის წინანდელი გათამაშების ნახევარფინალში რეკორდმაისტერი ტრავმებით გატანჯულ კატალიონელებს უმოწყალოდ გაუსწორდა — 3:0 და 4:0 ამჯერად როლები გაიცვალა — ლაზარეთში რობენის, რიბერის, ალაბასა და ბადშტუბერის გამწესებამ ლუის ენრიკეს შეგირდებს, მართალია, არასრულფასოვანი, მაგრამ ღირსეული რევანშის აღების საშუალება მისცა.

ისე, გულზე ხელი დავიდოთ და ვიკითხოთ, გულშემატკივარი რისი გულშემატკივარია, სასწაულის იმედი რომ არ ჰქონდეს. ჰოდა, უკვე მე-7 წუთზევე ბენატიას მიერ ზუსტი თაური დარტყმით გატანილმა ადრეულმა გოლმა, ალბათ, მასპინძელთა მრავალრიცხოვანი ქომაგები ძლევაი საკვირველის ხასიათზე დააყენა, მაგრამ მალევე მოხდა ფაქტი, რომელმაც ორრაუნდიან დუელს ინტრიგა მოუსპო.



მესიმ მინდვრის სიღრმიდან გამჭოლი პასით გარღვევაზე გაიყვანა თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი სუარესი, ამ უკანასკნელმა კი, რადგან გვერდითმა მსაჯმა ოფსაიდი გაატარა, ცარიელი კარის წინ შეჭრილ ნეიმარს ანგარიში გააქვითინა.

აქედან მოყოლებული, მეტოქეებს მხოლოდ ფორმალობისთვის ხარკის გადახდა დარჩენოდათ, ინგლისელი არბიტრის მარკ კლატენბურგის საფინალო სასტვენმა კი გერმანულ გრანდს მხოლოდ მორალური კმაყოფილება მოუტანა.

**გიორგი შოთაძე**

ქვიშის ხელბურთი

# ესპანეთში — ივნისის მიწურულს

**საქართველოს 19-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები (მეკარეები: ზურაბ ცინცაძე („პეგასი“), გიორგი ვათიაშვილი („გორი“), მოთამაშეები:** გიგა კოხრეიძე, გიორგი დიხამინჯია, ალექსანდრე ცხვარაშვილი, ამირან აბჟანდაძე, გივი გიორგაძე, ვლადიმერ ბაძაღუა, ირაკლი ჩინჩალაძე (ყველა — „პეგასი“), ვეფხია ზურაბიანი, ჯაბა ხაჟომია („სამტრედია“), აკაკი მათნაძე („ქუთაისი“), ტარიელ მჭედლიშვილი, საბა მურადაშვილი, თამაზ ტარუაშვილი („გორი“), ირაკლი გოგოლაძე, თორნიკე მაისაშვილი (სტუ), გიორგი დოლმაზაშვილი („ყვარელი“), დავით ყორიაული, გიგა ბაინაზიშვილი, გიორგი მიქავა („იმედი“), **მწვრთნელები** — მამუკა მჟავანაძე და ლევან გელაშვილი) მონდომებით ემზადება ქვიშის ხელბურთში 19-წლამდელ ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც წლეულს 26-27 ივნისს ესპანეთში, კატალონიის საკურორტო ქალაქ ლიორეტ დელ მარში გაიმართება. საასპარეზოდ 9 გუნდი მოიყრის თავს.



წილისყრის შედეგად საქართველოს ნაკრები მოხვდა A **ჯგუფში,** სადაც იგი მეტოქეობას გაუწევს უნგრეთის, ხორვატეთის, თურქეთისა და პორტუგალიის გუნდებს. B **ჯგუფში** ითამაშებენ ესპანეთი, რუსეთი, შვეიცარია და რუმინეთი.

ჯგუფური ტურნირი 2-2 საუკეთესოს გამოავლენს, რომლებიც მედლებისთვის იბრძოლებენ, დანარჩენები კი მეხუთე-მეცხრე ადგილებს გაინაწილებენ.

**ლექსო ცინცაძე**

ინტერნეტიდან

# შაკირა ფოტომოდელობას უბრუნდება

**ხერარდ პიკეს უყვარს შაკირა. შაკირას უყვარს სცენა. სცენას უყვარს წარმატებული ადამიანები, წარმატებულ ადამიანებს კი ერთმანეთი უყვართ — ამ ერთი შეხედვით უმარტივესი ჭეშმარიტებით მცხოვრები კოლუმბიელი გავაგანიერი მომღერალი შაკირა ამას წინათ კიდევ ერთხელ გახდა საყოველთაო განსჯის საგანი.**

შაკირამ, რომელსაც ხერარდ პიკესთან გამალებულმა ღლაბუცმა და შვილების გაჩენამ გარეგნობის კუთხით ვერაფერი დააკლო, გადაწყვიტა, რომ ძველ საქმიანობას დაუბრუნდეს და გაიხსენოს ის დრო, როდესაც ფოტომოდელი იყო და ფოტოკამერის წინ ფეხების მწყაზრად აპლაკვით ჭამდა პურს.



ფოტოსესია, რომელშიც შაკირა მონაწილეობას მაისის ბოლოს მიიღებს, ძველი რომის თემატიკაზე იქნება გადაღებული და ეს მოთახთახე სამხრეთამერიკელი გოგონა რომაელ დიდგვაროვან ასულად გარდაისახება. იქ რომ მკერდზე მზის სხივის ციალი და გავის ბზრიალი იქნება, ამას აბა რად უნდა ბევრი ლაპარაკი...

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ „ცისკარი-1852“

# „მე ვარ ვარსკვლავი... ბრწყინვალე განთიადისა“

**კიდევ ერთხელ აღსდგა 163 წლის „ცისკარი“, ახალი დასახელებით — „ცისკარი-1852“. ალბათ, იკითხავს მკითხველი — „ცისკარი“ ყველასათვის საყვარელი და ასერიგად მონატრებული ჟურნალი, მიუხედავად მწერალთა საძმოს თავგამოდებული მცდელობისა, კაპიკ-კაპიკ ნაშოვნი თანხებით არაპერიოდულად გამოცემისა, მაინც რომ ინარჩუნებდა ლიდერის როლს ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში, — რაღად საჭიროებს იმ წლის მიწერას, როდესაც დაარსდაო?! მაგრამ არ შემცდარა ჟურნალის ახალი თავკაცი, ცნობილი ლიტერატორი და ენათმეცნიერი, ბატონი ამირან გომართელი.** არ შემცდარა, რადგან 1852 წელს უდიდესი დატვირთვა აქვს, განა მხოლოდ იმისთვის, რომ მსოფლიოში გამომავალ ლიტერატურულ ჟურნალებს შორის ერთ-ერთი უძველესია, არამედ იმითაც — მკითხველსაც და ქართველ მწერლებსაც შეახსენებს იმას, რომ საქმე გვაქვს დიდი გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძის მიერ დაარსებულ ჟურნალთან. ჟურნალთან, რომელშიც თავის დროზე დიდი ილიასა და აკაკის მწერლური ნათლობა მოხდა, ჟურნალში სადაც აღიზარდნენ ქართველი სამოციანელები, ბოლშევიკურ რეპრესიებს შეწირული თუ გამოვლილი მწერლები, გასული საუკუნის ორმოცდაათიანელები, უნიჭიერესი თაობა ქართული სიტყვისა და ასე მოდის დღემდე. ჯერი იმ თაობაზეა, რომელსაც მოღვაწეობა უხდება ოცდამეერთე საუკუნეში და მთავარი რედაქტორის განახლებული ჟურნალის პირველი წლევანდელი ნომრის სეფე სიტყვაში ხაზგასმით ნათქვამისა არ იყოს — **„ქართული მწერლობის ახალ თაობას აუცილებლად აღმოაჩნდება უნარი, ბოდლერივით ხმამაღლა განაცხადოს: არის ჩვენში სილამაზე, რომელიც უცხოა ძველებისათვის“**. დიახ, ამ განაცხადისთვის ვინც მზად არის სწორედ მან უნდა მიაქციოს ყურადღება „ცისკრის“ ახალ დანამატს, 1852-ს — საიდან მოვდივართ, ვინა ვართ და რა უნდა შევკადროთ ამ უძველეს ჟურნალს, რომლის ფურცლებზე გამოქვეყნებული ჩვენი გულისთქმა მივიტანოთ გამოცემის ერთგულ, ყველაზე დიდ შემფასებლამდე — ქართველ მკითხველამდე.




**„ჩვენ გზაში ვართო“,** ბრძანა ბატონმა ამირანმა სწორედ ამ სეფე სიტყვაში. ეს გზა კი ია-ვარდით მოფენილი არასოდეს ყოფილა და მასაც სჯერა, რომ კიდევ ბევრ სირთულეს წააწყდება. სირთულეს კი ისეთი გამოცდილი მწერლები და პროფესიონალი გამომცემლები გადაატანინებენ, ვინაც ბრძანდებიან ბატონები **ბაღათერ არაბული, სოსო გოლიაძე და ანდრო ბედუკაძე** (როგორი ერთგულებაც მათ ამ გაჭირვებული ბოლო ოცწლეულის მანძილზე გამოიჩინეს, რათა ხალხს არ მიევიწყებინა „ცისკარი“) და მთელი სარედაქციო საბჭო.




მთავარმა რედაქტორმა მკითხველს მოკლედ შეახსენა ის რთული გზა, რაც ჟურნალმა გაიარა ამ 163 წლის სიგრძეზე და რითაც დაიმსახურა ამგვარი სიყვარული. ვახტანგ ჭელიძის მიერ 1957 წელს ხელმეორედ აღდგენილი ჟურნალი და მის ირგვლივ შეკრებილი ბრწყინვალე პლეადა მეოცე საუკუნის „სამოციანელებისა“, ჯანსულ ჩარკვიანის რედაქტორობა და მწერალთა უნიჭიერესი თაობის აღმოჩენა, გასაოცარი შინაგანი თავისუფლება, გამბედაობა და შედარებით დათბობა კომუნისტურ წყობაში, სწორედ ამ მომენტის შესანიშნავად გამოყენება.

**„ჩვენი ჟურნალისათვის ლიტერატურულ ძიებათა ზღვარი არავის დაუწესებია — ზღვარგადადებული მაძიებლობა ვერ იქცევა ინოვაციების სათავედ. თვით უსასტიკესი საბჭოთა ტოტალიტარული ცენზურის პირობებშიც „ცისკარი“ ახერხებდა მკაცრი სიმართლის თქმას. ამ სიმართლის წინაპირობა კი შინაგანი თავისუფლება იყო. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს დღევანდელობის დანიშნულებაც. „ცისკარი-1852“ კვლავ გააგრძელებს საქმიანობას ტრადიციული, თუმცა, შინაარსობრივად მუდმივად განახლებადი რუბრიკით“,** — ბრძანებს ბატონი ამირანი.




აი, ხელთა მაქვს ჟურნალის წლევანდელი სამი ნომერი (გაგიკვირდებათ არა?) დიახ, თითო თვეში თითო ნომერი გამოუციათ ახალ ჯგუფს თბილისის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით. ახლა სწორედ ისინი გაუწევენ მფარველობას ამ საუკუნენახევარს გადაცილებულ ჟურნალს. ტრადიციად ქცეული რუბრიკების — პროზა, პოეზია, კრიტიკა, თარგმანი, გვერდით ახალი ციკლიც გაჩენილა, როგორც მთავარი რედაქტორი ბრძანებდა — მეტად საინტერესო, საჭირო და დროული. **„ცისკარი სკოლას“** ასეთი რუბრიკით ვეცნობით ამირან გომართელის, თამარ გელიტაშვილისა და ზურაბ კალანდაძის წერილებს. **„საზღვარგარეთის ლიტერატურის პრემიები“** — რუბრიკას მარიკა კახაძე უძღვება და თითქმის ყურადღების გარეშე არ ტოვებს საზღვარგარეთის ლიტერატურის სიახლეებს, სხვადასხვა პრესტიჟული პრემიებისა და კონკურსების ლაურეატებს. თვალშისაცემია ჟურნალის განახლებული ვიზუალური მხარეც — ფერადი, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული ჟურნალის ყდასა და შიდა გვერდებზე ცნობილ ქართველ მხატვართა ნამუშევრების ფოტორეპროდუქციებთან ერთად ქართველ მწარელთა უცხოეთში გამოცემულ წიგნებსაც შეხვდებით. მეტად საინტერესო სიახლეა ჩვენი უკვდავი კლასიკოსის რევაზ ინანიშვილის ქართულ და ოსურ ენებზე დაბეჭდილი ხუთი მინიატიურა („ცისკარი-1852“ — №3), ხოლო ჟურნალის პირველი ნომერი მთლიანად გაფორმებულია შალვა ქიქოძის გრაფიკული, ფართო საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობი ნამუშევრებით (სასურველი იქნება ამგვარ სიახლეს ჟურნალის სხვა ნომრებშიც თუ ვიხილავთ).

„ცისკარი“ განთიადის ვარსკვლავს ნიშნავს, განთიადის ვარსკვლავი კი უფლის მატერიალიზებული სიმბოლოა — **„მე ვარ... ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“**. სწორედ „ცისკარმა“ უნდა გაანათოს თავისი აღდგენითა და განახლებით ის საშინელი წყვდიადი, რომელიც ოცდამეერთე საუკუნეში ლიბერალიზმისა და გლობალიზაციის მანტიამოსხმულმა ყოველგვარი პროგრესულის, წიგნიერებისა და ზნეობის დამანგრეველმა მიმდინარეობებმა დაამკვიდრეს. ხალხს ჭეშმარიტი, სულიერი საზრდო სწორედ ამ ჟურნალმა უნდა მისცეს.

**მამუკა ვაშაკიძე**

---

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ღვაწლმოსილ მუშაკს ნანა ყუბანეიშვილს გარდაეცვალა დედა, აფხაზეთიდან დევნილი**

**ვერა მამისაშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**„ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების“ გამგეობა სამძიმარს უცხადებს საზოგადოების წევრს ბატონ ჯემალ კვირტიას ვაჟის**

**გიას (არჩილის)**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს და მეგობარს ბატონ ჯემალ კვირტიას შვილის**

**გია (არჩილ) კვირტიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მარტვილის რაიონის მთავარ მეან-გინეკოლოგს, საქართველოს დამსახურებულ ექიმს ქალბატონ ცაცუნა გეგეჭკორს გარდაეცვალა ვაჟი**

**ბესიკ ჩავლეიშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

◎ ინფორმაცია

## სოფელ კოდასა და მარნეულში მომხდარი დანაშაულები გახსნილია

**შსს-ს ინფორმაციით, სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თეთრი წყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი მანიჟა ჭ. ყაჩაღობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.**

**გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდაში, ე.წ. ლტოლვილების დასახლებაში მცხოვრებ სისონა გ-ს ოჯახს სოციალური აგენტის სახელით გაეცნო, მათი ნდობა მოიპოვა და მორიგი სტუმრობის დროს სისონა გ. და ოჯახის კიდევ ერთი წევრი მაკა დ. სამედიცინო მედიკამენტების გამოყენებით უმწეო მდგომარეობამდე მიიყვანა. დანაშაულის კვალის დაფარვის და დაზარალებულების მოკვლის მიზნით ბრალდებულმა ბინაში გაზის ონკანი გახსნა, 3 330 ლარი გაიტაცა და მიიმალა. სისონა გ-ს და მაკა დ-ს სამედიცინო დახმარება დროულად აღმოუჩინეს. ამ დროისათვის მათ ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება.**

**გატაცებული თანხის ეკვივალენტი ამერიკულ ვალუტაში ნივთმტკიცებად ამოიღეს.**

**გამოძიების მსვლელობის დროს დანაშაულის სხვა გარემოებები გამოიკვეთა, რის გამოც დაკავებულს ბრალი დაუმძიმდა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ბრალდებულმა კიდევ ერთი დანაშაული მარნეულში 2014 წლის ნოემბერში ჩაიდინა.**

**მანიჟა ჭ-მ მარნეულის ბაზარში ერთ-ერთი ჯიხურის მოვაჭრე ცოლ-ქმარს ვილაიატ და გულჩოხრა ნ-ებს პროდუქციის დიდი პარტიის შესყიდვის შესახებ საუბრისას ყავაში გაურკვეველი ფხვნილი ჩაუყარა და მათ ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნა.**

**ამის შემდეგ მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა დაახლოებით 2000 ლარის ღირებულების ოქროულს, 6 000 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.**

**დაზარალებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაკავებული ორივე დანაშაულს აღიარებს.**

## მდინარე დუნაიში ნაპოვნი ახალგაზრდა, სავარაუდოდ, 29 აპრილს გაუჩინარებული ქართველი გოგონაა

**როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა დავით კერესელიძემ განაცხადა, ამ თემასთან დაკავშირებით საკონსულო დეპარტამენტის დირექტორს ესაუბრა.**

**დავით კერესელიძემ მომხდარის გამო მწუხარება გამოთქვა. მისი ინფორმაციით, ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს იდენტიფიცირება.**

**გარდაცვლილის სახელი და გვარი ცნობილია. საკონსულომ ავსტრიის შესაბამის ორგანოებს თითის ანაბეჭდები იდენტიფიცირებისათვის გადაუგზავნა. პარალელურად მიმდინარეობს პროცედურები, რომელიც შემდეგ ცხედრის გადმოსვენებისთვის იქნება საჭირო.**

**შეგახსენებთ, რომ უცხოური მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ავსტრიაში, მდინარე დუნაიში ახალგაზრდა ქართველი გოგონა დამხრჩვალი იპოვეს.**

## ბათუმში კაფე-ბარი „მალიბუ“ დაიწვა

**ბათუმში, გორგილაძის №4-ში მდებარე კაფე-ბარ „მალიბუში“ ხანძარი გაჩნდა. როგორც შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის თანამშრომელმა ზვიად ჯაფარიძემ განაცხადა, ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. მისივე განმარტებით, დაიწვა სამზარეულო და დაზიანდა ინვენტარი.**

**„შეტყობინება ხანძარის შესახებ 00:38 საათზე შემოვიდა, ადგილზე დროულად მივიდნენ მაშველები, იწვოდა კაფე-ბარი „მალიბუს“ სამზარეულო. ხანძრის ლოკალიზება დროულად მოხერხდა, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. დამწვარია სამზარეულოს 30 კვადრატულ მეტრამდე ფართობი, დაზიანებულია ინვენტარი და ჩამსხვრეულია შუშები“, — აღნიშნა ზვიად ჯაფარიძემ.**

**მისივე განმარტებით, კაფეს გვერდით მდებარე სხვა შენობები არ დაზიანებულა, რადგან ხანძრის ჩაქრობა დროულად მოხერხდა.**

## ხანძარს მსხვერპლი მოჰყვა

**— ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ გოდგაძეებში, ჩაგაძეების ექვსსულიან ოჯახში გაჩნდა ხანძარი. სახლში იმყოფებოდა მწოლიარე, 80 წელს გადაცილებული ქალბატონი. სამწუხაროდ, ცეცხლის ალება იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერ მოხერხდა ხანძრის ჩაქრობა და დაიღუპა ქალბატონი, — აღნიშნა ბესიკ ბაუჩაძემ.**

* * *

**ქუთაისში, საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილი ხანძრის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა.**

**გარდაცვლილის მეზობლების თქმით, ბუხაიძის ქუჩაზე ელექტროენერგია რამდენიმე საათის განმავლობაში იყო გათიშული და კორპუსში ცეცხლი, სავარაუდოდ, ანთებული სანთლიდან გაჩნდა. ბინაში ამ დროს ბაბუა და შვილიშვილი — 30 წლამდე ახალგაზრდა მამაკაცი იმყოფებოდნენ.**

**ცეცხლის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. როგორც ექიმებმა განაცხადეს, ხანში შესული მამაკაცის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

**ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდნენ სახანძრო და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები.**

---

## განცხადება

2015 წლის 28 მაისს 17.00 საათზე შედგება სს „საქტელეფონმშენის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2014 წლის შედეგები;
2. სხვადასხვა.

**ადმინისტრაცია**

## დღესასწაული

# თამარობას გილოცავთ!



**14 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს კეთილმორწმუნე ქართველთა მეფის, მენელსაცხებლე დედის, ივერიის მნათობის თამარის ხსენებას.**

დღეს დიდი დღესასწაულია დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში... ტრადიციისამებრ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სტუმრობს ხოლმე ამ მადლით სავსე შეკრების ადგილს, მოილოცავს, დაგვლოცავს;

ჩვენი პატრიარქი, მისი უწმინდესობა, თვალს შეავლებს თავის მიერ მოხატულ თამარ მეფის ფრესკას, რომელიც მართლაც, რომ, მშვენებაა ტაძრის ჩრდილოეთ კედლისა... წირვისას კი ჩვენი მწყემსმთავარი უკვე სამების ტაძრიდან მთელ საქრთველოს მიულოცავს თამარობას, გამთლიანებას და მშვიდობიანობას უსურვებს მთელ სამყაროს!!!

აი, რა მომიყვა საფრანგეთიდან ჩამოსულმა ემიგრანტმა, ჩემმა კოლეგამ: თურმე, თამარ მეფე ქვეყნიდან ქართველების წასვლის წინააღმდეგი ყოფილაო, ფშაველები მას „ხმელეთის დამრიგებელს" ეძახდნენ და შესთხოვდნენ, სამანი-რკინის სარი, მუდამ ყოფილიყო ჩადგმული ჯვარ-ხატის ტერიტორიაზეო.

მოგეხსენებათ, რომ ფშავლისთვის სამანის „შუა ზღვაში" ჩადგმა, ხომ წმინდა თამარ მეფის ძალაუფლებაზე მიუთითებს.

უფალმა გვისმინოს და ყველა უცხოეთში წასული ქართველი დაუბრუნდეს თავის სამშობლოს. ამაში მათ პატრიარქის ლოცვა უსათუოდ შეეწევა!

P. S. **მინდა სრულიად საქართველოს მოგილოცოთ თამარობა და, განსაკუთრებით, მის მოსახელეთ.**

**გიული ლიპარტია**

## იცოდით?

# ყველაფერი კბილების შესახებ

**ადამიანს სიცოცხლის განმავლობაში ორჯერ ეცვლება კბილები: ჯერ ჩნდება 20 სარძევე კბილი, შემდეგ — 28-32 მუდმივი.**

ჩვილებს სამი თვიდან ამოსდით სარძევე კბილები. 6-დან 12 წლამდე სარძევე კბილები თანდათანობით იცვლება მუდმივით.

**კბილი შედგება გვირგვინისგან (იგი კბილის ღრძილის ზევიდან ამოდის), ძირისგან (კბილის ნაწილისგან, რომელიც ღრმადაა და დაფარულია ღრძილით) და ყელისგან — მონაკვეთისგან ყველაზე თხელი ემალით.**

სახელწოდება „სარძევე კბილი" მისცა ჰიპოკრატემ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ბავშვის ყველაზე პირველი კბილები რძისგან ყალიბდება.

კბილების ყველაზე გავრცელებული დაავადებებია: კარიესი, პულტიტი, პერიოდონტიტი, პაროდონტიტი, კბილის ქვა, ცემენტომა, გინგივიტი, ფლუოროზი, აგრეთვე კბილების ძნელად ამოჭრა.

კბილი — ესაა ადამიანის ორგანიზმის ერთადერთი ნაწილი, რომელსაც თვითაღდგენის უნარი არ გააჩნია.

**97 პროცენტამდე არაორგანულ ნივთიერებას შეიცავს კბილის ემალი, და მხოლოდ 2-3 პროცენტ წყალს. ეს ადამიანის ორგანიზმში ყველაზე მაგარი ქსოვილია. სიმკვრივე აღწევს 397,6 კილოგრამს კვადრატულ მილიმეტრში.**



**2,0 მილიმეტრი — ასეთია ალაგ-ალაგ კბილის ემალის სისქე, კბილის ყელს კი იგი თითქმის არა აქვს.**

72 პროცენტი არაორგანული ნივთიერებისა და 28 პროცენტი ორგანული ნივთიერებისაგან შედგება. დენტინი კბილის მაგარი ქსოვილია, რომელიც მის ძირითად ნაწილს შეადგენს. გვირგვინის ნაწილი დაფარულია ემალით, ძირისა — ცემენტით.

**2-დან 6 მილიმეტრამდეა დენტინის სისქე, მისი სიმაგრე კი შეადგენს 58,9 კილოგრამს კვადრატულ მილიმეტრში.**

ადამიანების დიდ ნაწილს დღეს არ ეშინია სტომატოლოგებისა, თუმცა, უფრო დიდი ნაწილი აცხადებს, რომ არ სიამოვნებთ კბილის ექიმთან მისვლა.

ორგანიზმში მთელი კალციუმის 99 პროცენტი კბილებშია.

ადამიანებს, ვინც დღეში 3-ჯერ იხეხენ კბილებს, ნაკლებად აწუხებთ ზედმეტი წონა, ამტკიცებენ იაპონელი მეცნიერები.

**თუ ერთი კვერცხუჯრედის ტყუპისცალს არა აქვს ესა თუ ის კბილი, როგორც წესი, ასეთივე კბილი აკლია მეორე ტყუპისცალსაც.**

3300 დოლარად მიჰყიდეს 1816 წელს ერთ არისტოკრატს ისააკ ნიუტონის კბილი. შესყიდვის შემდეგ ამ ადამიანმა მეცნიერის კბილი ჩაისვა ბეჭედში, როგორც სამკაული.

**ძველი იაპონელი სტომატოლოგები კბილებს იღებდნენ შიშველი ხელებით.**

## მცირე ენციკლოპედია

### მოწევა ტვინს ვნებს

**ხანგრძლივი მოწევა თავის ტვინის ქერქის დავიწროებას იწვევს, მაშასადამე — აუარესებს მეხსიერებას და ინფორმაციის აღქმას, აღარიბებს ენას, დაადასტურეს შოტლანდიელმა მეცნიერებმა.**

გამოკვლევაში 260 ქალმა და 244 მამაკაცმა მიიღეს მონაწილეობა, როგორც ამჟამად მწეველებმა, ისე იმათმაც, ვინც დაანება თავი მოწევას და ვინც არასოდეს ეწეოდა. მოხალისეთა საშუალო ასაკი 73 წელი იყო. თითოეული მათგანი 1947 წელს, როდესაც ბავშვი იყო, მონაწილეობას ღებულობდა შოტლანდიის ფსიქოლოგიურ გამოკვლევაში. მეცნიერებმა გამოკითხეს მოხალისეები და ანალიზი გაუკეთეს მათი თავის ტვინის ქერქის სურათებს. აღმოჩნდა, რომ მიმდინარე და ყოფილ მწეველებს ჰქონდათ ტვინის ქერქის ბევრი შევიწროებული მონაკვეთი იმათგან განსხვავებით, ვინც საერთოდ არ ეწეოდა. მათ, ვინც ოდესღაც დაანება თავი მოწევას, ნაწილობრივ აღიდგინეს ქერქის სისქე. მაგრამ იმათ, ვინც მოწევას დაანება თავი მოწევის 25 წლის სტაჟის შემდეგ, ჰქონდათ ქერქის უფრო თხელი მონაკვეთები.

თავის ტვინის ქერქი მოხუცებულობის პროცესი ყველას უვიწროვდება, მაგრამ მოწევა ამ პროცესს აჩქარებს. რაც უფრო ვიწროა ქერქი, მით უარესია გონებრივი უნარი.

### გამოკითხვა

**თუ გრძნობთ თავს დამოკიდებულად გაჯეტებისგან?**

**56 პროცენტი — არა, ცხოვრება მდიდარია სხვა საინტერესო რამეებითაც.**

**32 პროცენტი — ნაწილობრივ, თავისუფალ დროს მიყვარს, თავი ჩავრგო სმარტფონში ან პლანშეტში.**

**6 პროცენტი — დიახ, მე მუდმივად ვაგზავნი და ვკითხულობ „ეს-ემ-ესებს", ვამოწმებ ჩემ ფოსტას, მთელ თავისუფალ დროს ვთამაშობ სმარტფონში ან პლანშეტზე.**

**6 პროცენტი — არ ვიცი, არ დავფიქრებულვარ.**

**სულ გამოკითხვაში 3756 კაცმა მიიღო მონაწილეობა.**

### სიხარულით აღვსილი

**ჩვენს სოციალურ ქცევას ჩვენი ბიოქიმია წარმართავს, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კალიფორნიელი მეცნიერები. მათ აჩვენეს, რომ ადამიანი შეიძლება გახადო უფრო თანამგრძნობი მის ტვინზე ზემოქმედებით.**

მეცნიერები მოხალისეებს აძლევდნენ ან საშუალებებს დოფამინის მაღალი დონის შესანარჩუნებლად, ან „საწოვარას". დოფამინი — ესაა ნეირომედიატორი, რომელიც იწვევს კმაყოფილების გრძნობას და ჩართულია ტვინის „წახალისების სისტემაში". აბების მიღების შემდეგ მოხალისეებს აძლევდნენ დავალებას გაიყონ ფულის თანხის ერთგვარი ოდენობა უცნობ ადამიანებთან.

აღმოჩნდა, რომ დოფამინის აბის მიღების შემდეგ (პალცებოსთან შედარებით) იმის ალბათობა, რომ ფული გაიყოფა სამართლიანად, მკვეთრად იზრდებოდა. „ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით იმის გაგებისათვის, თუ რა გავლენას ახდენს ტვინის ქიმია ჩვენს ზიზღზე უსამართლობისადმი", — ასკვნიან მკვლევარები.

## განცხადება

ᲘᲧᲘᲦᲔᲑᲐ უშუალოდ კურორტ „საირმის" ტერიტორიაზე სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

## ცინცხალი ანეკდოტები

**სიძე — სიდედრს:**

**— ძვირფასო, ნუ გადიხარ აივანზე ბანაობის შემდეგ, თორემ, როგორც ყოველთვის, გაცივდები და არ მოკვდები.**

* * *

**ქალის ოცნება ასაკის მატების შესაბამისად:**

**16 წლის — პრინცი თეთრ ცხენზე.**

**20 წლის — პრინცი ცხენზე (ფერს მნიშვნელობა არა აქვს).**

**25 წლის — პრინცი ვირზე.**

**30 წლის — პრინცი ფეხით მოსიარულე.**

**35 წლის — პრინცის მეჯინიბე.**

**40 წლის — ნებისმიერი მეჯინიბე.**



* * *

**მუცელში ჩანგალგაჯრილი კაცი საავადმყოფოში მივიდა:**

**— ექიმო, მიშველე რამე!**

**— ვერაფრით დაგეხმარები. მიღების საათები დამთავრებულია.**

**— იქნებ დამეხმარო!..**

**— მთელი დღე-ღამის ნამორიგევი ვარ, ფეხზე ვერ ვდგავარ, სახლში უნდა წავიდე...**

**— ექიმო, მაინც უნდა დამეხმარო!..**

**ექიმმა გამოაძრო მუცლიდან ჩანგალი და თვალში ჩაარჭო.**

**— აჰა, წადი ახლა ოკულისტთან, 8 საათამდე მუშაობს.**

* * *

**გურული ქალების დიალოგი:**

**— შენი მევიდა? — არა, მაი ვნახე მიწაში! შენი?**

**— მევიდა მარა, იმფერი სანახავია, მუუწვეს შენსას გვერდში!**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24